პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ. ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის, ს. ს. რ. საქ. მ., გ. წ. არ და მაზრ. დეპ. საბ. [illegible] ორგანო.

№ 140 ხუთშაბათი 21 ივნისი, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 75,000 მან.

№ 140

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76 მდივნის 10—58

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26 ტელეფ. 5—43

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.250.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დღიური

— ბულგარეთის ახალი მთავრობა მხარდაჭერას ღებულობს ევროპის მთავრობებისგან.

— რურის ოლქი ფრანგებმა ეკონომიურად სავსებით მოაშორეს გერმანიას. საოკუპაციო ჯარი ლამობს ოლქის იქითაც დაიკავოს რკინის გზის ხაზი.

— იტალიაში ამოხეთქა ვულკან ეტნამ, რომლის გარშემო მცხოვრებნი გარბიან.

— ბელგიაში გრძელდება მთავრობის კრიზისი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს პარასკევს, 22 ივნისს **ერთიანი პარტიული დღის** თვითონ წამოაყენონ დღის წესრიგი.

ტფილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ: რ უ ბ ე ნ ი.

„კომუნისტი“-ს რედაქცია გადავიდა

ახალ ბინაზე: რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული (მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი ბინა).

სახალხო განათლებისათვის

ჩვენში ბევრი თქმულა და დაწერილა სახალხო განათლების შესახებ. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არა ერთხელ მოგვიხდება მასზე შეჩერება.

მეცნიერული ცოდნის გავრცელება ხალხში, მისი კულტურული დონის ამაღლება ერთი ძირითადი პირობათაგანია ხალხის დაწინაურების და გამარჯვების. ამხ. ლენინიც ტყუილუბრალოდ კი არ გვასწავლის თავის უკანასკნელ წერილებში, რომ გარეშე კულტურული რევოლიუციისა, ფუჭია ლაპარაკი ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ ბატონობის განმტკიცებაზე.

და არავის არ შეუძლია ზრუნვა მასსის განათლებაზე ისე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც მიჰყავს ის საბოლოო გამარჯვებისაკენ, შრომის სუფევის დამკვიდრებისაკენ.

და ჩვენმა მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია განათლების ფრონტს, როცა კი ამისათვის მცირეოდენი ობიექტიური შესაძლებლობა მაინც შეიქმნა.

ყველას ახსოვს, რომ ცაკის მესამე სესიამ სახალხო განათლების დაყენება სათანადო სიმაღლეზე დამკვრელ ამოცანად, პირველ ხარისხოვან საქმედ გამოაცხადა და დასახა მთელი რიგი კონკრეტიულ ღონისძიებათა ამ დადგენილების გასატარებლად ცხოვრებაში.

ეჭვი არ არი, ბევრი რამ არის ამ დარგში გაკეთებული წარსულ წლებთან შედარებით. ქვეყნის ეკონომიკის საერთო გამოცოცხლებამ და ცხოვრების ჩადგომამ შედარებით მშვიდობიან კალაპოტში ხელი შეგვიწყო გაგვეუმჯობესებია განათლების საქმე, როგორც მატერიალური, ისე იდეური მხრივ. მაგრამ იდეალურ მდგომარეობიდან ჯერ კიდევ დიდი მანძილით ვართ დაშორებულნი.

მიმდინარე ზაფხულის არდადეგები უნდა გამოვიყენოთ მაქსიმალურად, რათა მომავალი სასწავლო წლისათვის შევქმნათ უფრო ხელსაყრელი პირობები.

სკოლის ძარღვი, მამოძრავებელი ძალა მასწავლებელია პირველ ყოვლისა.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ჩვენ ღარიბნი ვართ მომზადებული და ახალი სკოლის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი პედაგოგიური პერსონალით. მომზადება მასწავლებელთა საჭირო კადრის—ესაა ჩვენი ერთი მთავარი ამოცანათაგანი. უკეთესად ეს მოხერხდება სპეციალური პედაგოგიური სკოლების საშუალებით. მაგრამ ეს საკმაო დროს მოითხოვს. ჩვენ კი მცოდნე და გამოცდილი პედაგოგები გვესაჭიროება დღესვე. ამისათვის ჩვენ უნდა შევეცადოთ უკვე არსებულ პედაგოგიურ შემადგენლობის გადამზადებას, კურსების, კონფერენციების და სხვა გზით. მართალია, ასეთი კურსები თუ კონფერენციები ეწყობოდა რესპუბლიკის სხვადასხვა პუნქტებში წარსული სასწავლო წლის განმავლობაშიც. ეს ხდებოდა უმთავრესად ადგილების ინიციატივით. მაგრამ უდროობა, ამასთან ერთიანი გეგმის უქონლობა, საერთო ხელმძღვანელობის ნაკლებობა და სხვა მიზეზები ხელს უშლიდნენ ასეთ კურსებს და კონფერენციებს სავსებით გამოეღოთ სასურველი შედეგები.

ამ ჟამად კი მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებს და კონფერენციებს მართავს თვით სახალხო განათლების კომისარიატი, წინასწარ გამომუშავებულ ერთიანი პროგრამის და გეგმის მიხედვით, დროც საზაფხულო არდადეგებში ასე თუ ისე საკმაო არის; და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განზრახული მუშაობა კარგად ჩატარდება და ამით შენელებული იქნება მომზადებულ პედაგოგების სიმცირით გამოწვეული კრიზისი.

შემდეგ, ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ სკოლებისათვის საჭირო სასწავლო ნივთების, კერძოდ სასწავლო წიგნების დროზე დამზადების საკითხს. ამ მხრივ ჩვენი სკოლა დიდ სიმშილს განიცდის. ბევრ ბავშვს უწიგნოდ უხდება მეცადინეობა. ჩვენ ნაკლებად მოგვეპოვება ახალი სკოლის შესაფერი სახელმძღვანელოები. სათანადო უწყებამ ამ თავითვე უნდა მიიღოს ზომები სასწავლო წიგნების გამოსაცემად და ადგილებისათვის მისაწოდებლად. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ასეთ წიგნების იდეურ პედაგოგიურ შინაარს. შესაფერ ლიტერატურის უქონლობის გამო, ჩვენ ეხლაც შევხვდებით აქა-იქ ძველი დროიდან დარჩენილ ისეთ სასწავლო წიგნებს, რომელნიც გაჟღენთილი არიან დახავსებული აზრებით და მიმართულებით. ამას ბოლო უნდა მოეღოს.

დიდი მუშაობაა გასაწევი აგრეთვე სკოლების შენობათა შესაკეთებლად. ვისაც გაუვლია სოფლად, შეამჩნევდა, რომ ბევრ ალაგას სკოლებში ნორმალური მეცადინეობა შეუძლებელია: მინები ჩამტვრეულია, წყალი ჩამოდის. პარტები და სხვა მოწყობილება უვარგისია. ადგილობრივი ხელისუფლება ამ მხრივ აწარმოებდა აღმშენებლობითი მუშაობას. მცხოვრებთა დახმარებით სასკოლო შენობები ბევრგან შეკეთებულ იქნენ. მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. მიმდინარე ზაფხულში უნდა მოგვარდეს ეს საქმე. შემოდგომაზე ბავშვები უნდა შევიდნენ კარგად მოწყობილ შენობებში.

ბოლოს გვინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვათ მასწავლებელთა მატერიალურ მდგომარეობაზე. უდავო ფაქტია, რომ მათი ცხოვრების პირობები წინა წელთან შედარებით შესამჩნევად იქნა გაუმჯობესებული. ჩვენ უნდა შევეცადოთ ამ მუშაკების ცხოვრება ჩავაყენოთ უკეთეს პირობებში, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ მთელი თავიანთი დრო და ენერგია მოანდომონ სახელმწიფოს მიერ მათზე დაკისრებულ მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობათა ასრულებას.

ფაშიზმი გერმანიაში

გერმანიის მცხოვრებთა საშუალო ფენები წარმოადგენენ სასურველ ნიადაგს ფაშისტების პროპაგანდისათვის. ფაშიზმის მიმდევრებს აგროვებენ უმთავრესად გლეხების, მოხელეების, შინა-მრეწველების, წვრილ ვაჭართა ინტელიგენტთა და სხვა დეკლასიურ ელემენტებისაგან.

რა არის მიზეზი ფაშისტების გამარჯვებისა ამ ფენებში?

მარკის კურსის დაცემამ დამღუპველი გავლენა მოახდინა წვრილ ვაჭართა და გლეხთა ეკონომიურ მდგომარეობაზე ხოლო რაც შეეხება მოხელეებს, ბერლინის მაგისტრატის ცნობების თანახმად, მათი რეალური ხელფასი მიმდინარე წლის დასაწყისში ირყეოდა მშვიდობიან დროის ხელფასის 68 და 41 პროცენტს შორის. ასეთი იყო მდგომარეობა ჯერ კიდევ რურის ოკუპაციამდე, ხოლო ამ მომენტიდან იგი უფრო მეტად გაუარესდა.

კიდევ უფრო ცუდათ მიდის საქმე „ინტელიგენტების“ წრეში, მხოლოდ ძალიან ცოტა მათგანმა იპოვა თავი შესაფერი მრეწველობაში, როგორც იქნა შეეგუა ახალ პირობებს, მაგრამ საერთოთ კი მათ სრული გაღატაკება მოელისთ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბერლინის ექიმთა ორგანიზაცია ცდილობს იშოვოს თავის წევრთათვის დღეში რამდენიმე საათის მუშაობა ელექტრო წარმოებაში. და ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. **დღეს გერმანიაში ძალიან ცოტაა ისეთი ინტელიგენტები, რომელნიც არ ეწეოდენ დამხმარე მუშაობას.** არიან მასწავლებელნი, რომელნიც ეწევიან წვრილ სპეკულიაციას, სტუდენტები, რომელნიც მუშაობენ ბანკებში, ფაბრიკებში და სხვა და სხვა არქივებში და სხვ.

მაგრამ რამდენადაც მძიმე არ უნდა იყოს ყველა ფენების მდგომარეობა, გერმანიაში მოიპოვება ისეთი სპეციალური ჯგუფებიც, რომელთა მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელია. ესენი არიან ომის მრავალრიცხოვანი ინვალიდები, რომელთაც იმედი ჰქონდათ უზრუნველეყოთ თავისი ცხოვრება მოხუცებულობის ჟამს თავიანთი შენახული ქონებით, მარტოხელა ხნში შესული ქალები, და სხვა მუშაობის უნარს მოკლებული ხალხი. ისინი სცხოვრობენ იმით, რომ თანდათან ჰყიდიან რაც გააჩნდათ და ყველგან გერმანულ ქალაქებში თქვენ ნახავთ გაკრულ განცხადებებს დგამის, სურათების და სხვა ასეთი საგნების გაყიდვის შესახებ. ასეთი ხალხი მილიონობით მოიპოვება. ცხადია ის, რომ ყველა ამ ფენებს აქვთ საერთო ინტერესები მუშებთან. მუშების და საშუალო წოდების ექსპლოატატორებია—იგივე ფაბრიკანტები და მსხვილი ვაჭარ-მრეწველნი. მაგრამ „ყოფილ ხალხს“ აზრადაც არ მოუვათ აღიარონ, რომ ისინი ისეთივე პროლეტარები არიან, როგორც „ჩვეულებრივი“ მუშები. ამ ფაქტის აღიარების წინააღმდეგ „კეთილშობილურ“ აღშფოთებაში მოდის,—ის, რაც მათ შეინარჩუნეს ძველი დროიდან—წოდებრივი სიამაყე მცხოვრებთა ამ ფენებს მოხერხებულად სწვდენ ფაშისტები და დემაგოგიურად ყვლეფავენ და პოლიტიკურად რაზმავენ მათ უკმაყოფილებას.

ფაშისტური მოძრაობა გერმანიაში არასოდეს ისე არ გაძლიერდებოდა, რომ მას არ ეპოვა დასაყრდნობი წერტილი **მსხვილ კაპიტალისტების ჩეკების წიგნაკებში.** მაგალითად, ყველას კარგად მოეხსენება, რომ სტინესის დირექტორმა ფოგლერმა გადასცა დიდძალი ფული გერმანელ „ნაციონალ-სოციალისტებს“ (ფაშისტებს). აგრეთვე ცნობილია ისიც, რომ არა მარტო გერმანელი, არამედ ამერიკელი კაპიტალისტებიც (როგორც მაგ. ავტომობილის მეფე ფორდი) დიდი თანხებით ეხმარებიან გერმანელ ფაშისტებს.

მაგრამ ფაშისტურ პროპაგანდის ბაზად მაინც რჩება საშუალო ფენების და პროლეტარიატის გაღატაკება და უკმაყოფილება.

ამ საფუძვლებზე აშენებენ ფაშისტები თავიანთ თეორიებს. გაზრდილ სიღატაკის მთავარ დამნაშავეთ ისინი აცხადებენ ჯერ ერთი ებრაელებს, როგორც ასეთს და მეორეც—ბირჟას, მესამე—ანტანტას და მეოთხეც სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც წინააღმდეგობა არ გაუწია ანტანტას.

გარდა ამისა ფაშისტები იძლევიან „დიდებით პროგრამას“, რომელშიაც ისინი ცოტა რამეს პირდებიან ყველა უკმაყოფილოებს. წვრილ შინა მრეწველთ ისინი პირდებიან მსხვილ ვაჭრობის განსაზოგადოებრივობას და მსხვილ ტრესტების სახელმწიფოს ხელში გადაცემას; მუშებს—წარმოებათა მოგებაში მონაწილეობას, გლეხებს—მიწას და კოოპერატივებს. ამავე დროს ფაშისტები მოითხოვენ „ყველა მევახშეთა და ჩარჩების განადგურებას“.

მეტად დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ამ პროგრამის ეკონომიური მუხლები აშკარად ეწინააღმდეგება სტინესის ინტერესებს, მისი ლეიბ-ორგანო „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ ხედავს მასში „ჯანსაღ აზრს“. „დეიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ გრძნობს, რომ არ შეიძლება ფაშისტურ ქაში ჩაფურთხება...

ფაშისტების წარმატებას ხელს უწყობს სოციალ დემოკრატიულ წინამძღოლთა და პროფმოძრაობის ხელმძღვანელთა გაკოტრება ფართო მასების გაზრდილ გაღატაკების წინაშე. ხელმძღვანელებით უკმაყოფილება ფაშისტებს სურთ ჩააყენონ სოციალისტურ მოძრაობისადმი სიძულვილის საერთო კალაპოტში.

ყველაფერი ეს უჩვენებს გერმანელ კომუნისტებს, ფრიად რთულ ამოცანას, მით უმეტეს, რომ მათ არ მოეპოვებათ კვალიფიციური ძალები და ფულის საშვალებანი, რომელიც ბლომად აქვთ ფაშისტებს. მათ არ უნდა დაუშვან, რომ საშუალო ფენები თავიანთ ინტერესების წინააღმდეგ წავიდენ რეაქციის გზით. პირიქით ისინი უნდა ეცადონ მიიმხრონ გლეხობა, ხელოსნები, ინტელიგენტები და მოხელეები და, რაც მთავარია, დაიპყრონ პროფკავშირები და აქედან გამოაძევონ „ის წინამძღოლები“, რომელთა გამცემლურ პოლიტიკით და ეკონომიურ ბრძოლაში უმოქმედობით იკვებება ფაშისტური პროპაგანდა.

მომავალ მათი მუშაობის დროს საბჭოთა რუსეთის მაგალითი, რა თქმა უნდა, უდიდეს როლს უნდა თამაშობდეს. რუსეთის რევოლიუციის მაგალითზე მათ შეუძლიანთ დაანახვონ გერმანელ მუშებს და საშუალო ფენებს, რომ მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია დაიცვას ეროვნული ინტერესები და მოამზადოს ნიადაგი მეურნეობის აღსადგენად ფართო მასების სასარგებლოთ.

ფ. ლეონიდი.

ინცინდენტი ამოწურულია

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 20 ივნისი. „პრავდა“ წერილში „ინცინდენტი ამოწურულია“ სწერს: „ჩვენ თავიდანვე ვცდილობდით აგვეცილებია დიპლომატიურ მოლაპარაკების დროს უხერხული ნაბიჯები, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ საკითხის სწორად დაყენება ხელს შეუწყობს ურთიერთ გაგებას. ერთ ვინმეს პროვოკაციულად სურდა სამხედრო შეტაკების გამოწვევა. ურკარტი და კიდევ ვილაცეები მშვენივრად დარწმუნდენ, რომ ჩვენ პროვოკაციის ანკესზე არ წამოვეგებით, რომ ჩვენ არავის არ მივსცემთ ნებას სპეკულიაცია გასწიონ ჩვენს ვითომდა „სისუსტეზე“ და „უსუსურებაზე“. „პროპაგანდის“ საკითხი ფარული გრძნობებით იყო წამოყენებული, სურდათ ჩვენ დისკუსიაზე გამოვეწვიეთ, მაგრამ ჩვენ შევძელით (გამოტოვებულია) მიგვეღო სათანადო ვალდებულებები მოპირდაპირე მხრიდან. იმედი ვიქონიოთ, რომ უკვე მოცემული ვალდებულებები დაცული იქნება, რასაკვირველია, არა ისე, როგორც დღემდი. ფერგანის ბასმაჩები, გაქცეულ ემირის მიერ დაქირავებულნი, დღემდის სრულიად არალოიალურ საშვალებებს მიმართავდენ. გაქცეულმა მეფემ სულ რამდენიმე ხნის წინათ დახმარება სთხოვა სხვადასხვა სახელმწიფოებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ახლა ეს (დამახინჯებულია) დაეცემა ქვიშიან ნიადაგზე. ჩვენი ელჩების საკითხში, ავღანისტანში და სპარსეთში, შეთანხმება მიღწეულია იმ საფუძველზე, რომ „რუსეთის მთავრობა არ გასცემს არავითარ ცალმხრივ ვალდებულებას“. „ამა თუ იმ წარმომადგენელის გაწვევა შინაური საკითხია“ და ის არ შეიძლება გახდეს დავის საკითხი ორ მხარეს შორის. საგარეო საქმეთა კომისარიატის თანამშრომელთა განაწილება უნდა აინტერესებდეს კერზონს იმდენათ, რამდენათ ჩვენ გვაინტერესებს „ფორრეინ ოფფისის“ თანამშრომელთა განაწილება (გამოტოვებულია). თითქოს ამოწურულია, ვინაიდან ზოგჯერ რაღაც არაჩვეულებრივი გზებით პარლამენტალურ სახელმწიფოში რომელიმე ბანკის ან კონცესიონერის ხმა გაისმის ძლიერათ, ისე ძლიერათ, რომ ოფიციალური გამოსვლის შთაბეჭდილებას სტოვებს. სწორეთ აქ უნდა ვეძებოთ ყოველგვარ ინცინდენტების წყარო. ჩვენ არ ვიძლევით წინადადებას ინგლისის მმართველობის სისტემის შეცვლის შესახებ. ჩვენ მხოლოდ ვფიქრობთ, რომ ამ მექანიზმის ამუშავება საერთაშორისო მასშტაბით სახიფათოა. ეპიზოდი თითქმის დამთავრდა. ის მაჩვენებელია კაპიტალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკის ძლიერ ცუდი „ეპიზოდური“ ხაზის, ამიტომ ს. ს. რ. კ. მშრომელები „ეპიზოდიურათ“ მტკიცე უნდა იყვენ, მათ ურყევათ უნდა ეჭიროთ თავდაცვის დროშა“.

კერზონი მოსტყუვდა

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი. 20 ივნისი. ინგლის-რუსეთის კონფლიქტის შესახებ ამხ. სტეკლოვი „იზვესტია“-ში სწერს: „იწყებდა რა დღეიდან ისტორიულ დიპლომატიურ მიწერ-მოწერას, ლორდ კერზონი, ალბად, არ ითვალისწინებდა იმ შედეგებს, რომელიც ნამდვილათ მოჰყვა ამას. ის აშკარად ცდილობდა გამოეწვია დიდი „სისხლის ღვრა“, მაგრამ ეს არ გაუმართლდა. ეხლა ის თვითონვე აღიარებს, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, სხვა და სხვა სახის მიწერ-მოწერა შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. ჩვენ კი დავძენთ ამას, რომ ასე უშედეგოთ ის უკეთესი იქნებოდა არც დაწყებულიყო, ვინაიდან ის პუნქტები, რომლებშიაც შეთანხმება მოხდა შეიძლებოდა განხილული და მოგვარებული ყოფილიყო იმ მუქარების გარეშე, რომელიც საჭიროთ დაინახა ლორდ კერზონმა. ეხლა, როცა დამშვიდებით შეიძლება ჯამის გაკეთება განხილულ დიპლომატიურ მიწერ-მოწერისათვის, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი შედეგები ზოგიერთ შემთხვევებში პირდაპირ ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც შეიძლება მიზნათ ისახავდენ მისი ინიციატორები. საბჭოთა რუსეთის იზოლიაცია მათ ვერ შესძლეს. პირიქით, მან ერთხელ კიდევ ნება მისცა ყველა ქვეყნის ფართო მასებს მოეხდინა დემონსტრაცია (გამოტოვებულია).. საბჭოთა რუსეთი პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობის დამრღვევთა მიმართ [illegible] მათ ვერ შესძლეს აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკის სახელის გატეხა ჩაგრულ ერების თვალში. დაბოლოს, თუ ავიღებთ საკითხს რუსეთ-ინგლისის ურთიერთობის შესახებ, ლორდ კერზონის მიერ დაწყებულმა დიპლომატიურმა მიწერ-მოწერამ, ნაცვლად იმისა რომ დაეშორებია ეს სახელმწიფოები ერთი მეორისაგან, ნამდვილად უფრო დააახლოვა ისინი. ნაცვლად იმისა, რომ გამოეწვია მათ შორის არსებულ სავაჭრო შეთანხმების დარღვევა, მან დღის წესრიგში დასვა მისი უფრო გაფართოება და საერთო—პოლიტიკურ შეთანხმებად გადაქცევა. ეს შედეგი, რომელიც უმეტესად აიხსნება საბჭოთა მთავრობის ბრძნულ და მშვიდობიანობის მოყვარული ტაქტიკით, ჩვენ შეგვიძლია მოვულოცოთ არა თუ ჩვენს თავს, არამედ ყველა ერებს რომელთაც მოელოდა ახალ სისხლის მღვრელ ავანტიურაში ჩაბმა.

საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობა

მეექვსე სხდომა, 19 ივნისი.

სხდომა იხსნება ამხ. **ყურულაშვილის** თავმჯდომარეობით.

სატარიფო საკითხი

ამხ. ჯუღელის მოხსენება

შრომის ხელფასის ტარიფიკაცია.

სატარიფო საკითხი—რთულია, განსაკუთრებით დღევანდელ გარემოებაში. მიუხედავათ ამისა ეს საკითხი ჩვენ მიერ მოგვარებულია კოლექტიურ ხელშეკრულებათა საშვალებით, რომელმაც საგრძნობლათ ასწია, როგორც შრომის ხელფასი, ისე შრომის ნაყოფიერება. ეს უკანასკნელი გარემოება მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენი სატარიფო პოლიტიკა სწორია. კოლექტიურ ხელშეკრულების დადების შემდეგ 1921 წელთან შედარებით სამთომადნო მრეწველობაში ნაყოფიერებამ 13 პროც. მოიმატა, ლითონის დამუშავებაში 100 პროც. თამბაქოს მრეწველობაში 131 პროც, ტყავის მრეწველობაში—100 პროც.

შრომის ხელფასი დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს და მისი გადიდება საზარალოა ახლად ფეხადგმული მრეწველობისთვის, რომლის პროდუქციებს ხელფასის გადიდებით ფასი უნდა მოემატოს, რის გადახდასაც ჩვენი მომხმარებელთა ჯგუფი ვერ შესძლებდა. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ხელფასის არსებული მდგომარეობა და გავამუმჯობესოთ ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მძიმე ინდუსტრიის მუშამოსამსახურეებს და სახელმწიფო ხარჯზე დარჩენილ წარმოებათა ეკონ. მდგომარეობას. ჩვენ შევინარჩუნეთ ხელფასის ნომინალი, რომელიც უნდა აუცილებლად გაუთანასწოროთ ყველაზე მცირე მინიმუმს კოლექტ. ხელშეკრულებას. ჩვენი მიზანი უნდა იყოს საერთო მრეწველობის პირობების გამაგრება, და ამის მიხედვით კავშირები თავიანთ მოთხოვნებს ერთგვარ სახელმწიფო ნორმებს უნდა უფარდებდენ.

მუშათა ბიუჯეტს, გარდა სხვა მრავალ ხარჯებისა მძიმეთ აწევს კომუნალური დახმარების გადასახადები (ბინის ქირა, წყლის ფასი და სხვა). ბინის საკითხში კომუნალური მეურნეობა დავითანხმეთ კლასობრივ პრინციპის დაცვაში. სამეურნეო ორგანოებში ხშირია მაგალითი, როცა სპეცს ხელფასი ომის წინა დროინდელზე მეტად უდიდდება და ეს ხდება დაბალ მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე. ამის წინააღმდეგ პროფკავშირებმა ზომები უნდა მიიღონ და შემოღებული უნდა იქნას სპეცის ხელფასის მაგარი ნორმა. მუშათა ბიუჯეტს არყევს აგრეთვე ხელფასის დროზე მიუცემლობა, რომლის თავიდან ასაშორებლად საფინანსო ორგანოებთან დაიდვა ერთგვარი შეთანხმება, რომლის ძალით ვალდებული არიან 207 რიცხვისთვის გადაგზავნონ ასიგნოვკები.

შრომის ხელფასის მოწესრიგების მეთოდები.

საუკეთესო მეთოდათ უნდა ჩაითვალოს კოლლექტ. ხელშეკრულების დადება. უნდა გადიდდეს მათი რაოდენობა აუცილებლად და ამავე დროს უნდა შენდებოდეს ისეთ საფუძველზე, რომელიც ყოველ მხრივ შეესაბამება საერთო ეკონომიურ პირობებს და ამა თუ იმ დარგის მრეწველობის მდგომარეობას. ამ მიზნით ყოველი თვითეული პუნქტი კოლლექტ. ხელშეკრულობის უნდა იქნეს შესწავლილი როგორც კავშირში, ისე მუშამოსამსახურეთა საერთო კრებაზე. ყოველ თვითეულ ხელშეკრულების დადებაში პროფკავშირების საერთო ხაზი უნდა იქნას დაცული. რაც შეეხება ხელფასის ინდექსს, პირველად ეს არ იყო მუშების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი, რადგან ინდექსი მუშავდებოდა სურსათის ღირებულების მიხედვით, მაგრამ შემდეგ იგი შეცვლილი იქნა საქონლის მანეთით, რომელშიაც შედის ფასით მთელი რიგი ისეთი საქონლის, რომელიც მუშის ცხოვრებაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, საქონლის მანეთი უფრო მეტად ინახავს ცხოვრების რეალურ ღირებულებას, ვიდრე სურსათის. ჩვენთვის მიუღებელ ოქროს მანეთი, რომლის კურსის გამო სწორი და მტკიცე ბიუჯეტის შედგენა შეუძლებელი ხდება; ინდექსი ქვეყნდება თვეში ოთხჯერ, ანგარიშის გასწორებისათვის კი არა, არამედ ეკონომიური მდგომარეობის ფართე მასებისათვის გასაცნობათ. პრაქტიკამ დაგვანახა რომ თვიურ საშუალო ინდექსად გამოდგება 13, 14, და 15 რიცხვის მანეთის ღირებულება.

საკონფლიქტო კომისიები.

კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევის ნიადაგზე აღმოცენებული კონფლიქტები ადგილობრივ საკონფლიქტო კომისიებში ირკვევა. ამ საკონფლიქტო კომისიების გადაწყვეტილებას ცალმხრივობა არ უნდა ეტყობოდეს. რამდენად კოლექტ. ხელობაში ყოველგვარ ურთიერთობა გათვალისწინებულია და შესწავლილი, იმდენად [illegible]. ორგანოები უნდა სცდილობდენ კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას.

ეკონომიური მუშაობა.

შრომის ხელფასის გამოანგარიშების დროს სახეში გვქონდა, როგორც მუშების ნივთიერი მდგომარეობა, ისე საერთო-ეკონომიური. ცალკე კავშირები კი ზოგჯერ გამოდიოდენ თავის ინტერესების დამცველად და არ უწევდენ ანგარიშს საერთო მდგომარეობას. ეს რომ არ განმეორდეს კავშირს უეჭველად უნდა ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენელი სამეურნეო ორგანოებში: საჭიროა აგრეთვე სასოფლო და სამრეწველო მეურნეობათა ურთიერთობის მოწესრიგება, ვინაიდან სასოფლო - მეურნეობის პროდუქტებსა და სამრეწველო მეურნეობის პროდუქტებს შორის ძალიან დიდი განსხვავება არის. ეს მოვლენა კი განსაკუთრებული სიმძიმით აწევს კისერზე გლეხს.

დამზღვევი კასები.

მუშათა დაზღვევის საქმე გადაეცა შრ. სახ. კომ—ტს,—მაგრამ ჩვენ მაინც უნდა მასთან ვითანამშრომლოთ დაზღვევის კასაში და საერთოდ შრომის დაცვის საქმეების მოწესრიგებაში. წარსულში პროფკავშირებმა დიდი გულისყური გამოიჩინეს ამ მიმართულებით, მაგრამ სოციალური დაზღვევის საქმე სათანადო ნიადაგზე კიდევ ვერ არის დაყენებული, საჭიროა კავშირის ყველა წევრთა აღრიცხვა დასაზღვევად, საჭიროა კავშირების მიერ თვალყურის დევნება კასაში თავის დროზე ხვედრი გადასახადის შესატანათ.

უმუშევართათვის.

კავშირებს მართებს განსაკუთრებული ზომა მიიღოს და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ უმუშევარ ამხანაგებს. საჭირა უმუშევრის ფონდის გაძლიერება პროცენტების გადარიცხვით და ან სხვა რაიმე საშვალებებით. სასურველია კავშირებმა მიბაძონ საბჭოთა მოსამსახურეების კავშირს, რომელმაც უმუშევარ წევრთათვის დააარსა სასადილო, სადაც სრულიად უფასოთ 200 მეტი კავშირის წევრი სადილობს.

მუშათა კოოპერატივები.

დიდი მუშაობა მიუძღვის კავშირებს. აგრეთვე მუშათა კოოპერატივების ორგანიზაციასა და განმტკიცების საქმეში. ამ ჟამად განზრახულია მათი (მუშკოპისა) მომხმარებელ საზოგადოებათ გადაკეთება; თუ ეს ასე მოხდა, ჩვენ უნდა ვეცადოთ ხელში ჩავიგდოთ გეგმონია წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებზე, რომლებიც შემოვლენ წევრად მომხმარებელ საზოგადოებაში. ასეთია მოკლეთ კავშირების სატარიფო პოლიტიკა.

ამავე მოხსენების რუსულად წაკითხვის შემდეგ იხსნება კამათი.

კ ა მ ა თ ი.

სიტყვა ეკუთვნის ამხ. **შავერდოვას,** რომელიც შემდეგ აზრს გამოსთქვამს: ამ ჟამად გახსნილია განათლების გავრცელების ფრონტი, რომლის საწარმოებლად განათლების სახ. კომისარიატს საკმაო მატერიალური სალარი მისცეს. მთელი სიმძიმე მუშაობის ამ ფრონტის წარმოების დროს აწვებათ განათლების მუშაკთ, რომელნიც ღებულობენ თითქმის ყველა დარგის მუშაკებზე ნაკლებ ხელფასს, თუმც საშუალო კვალიფიკაცია მათ 12 კატეგორიას უდრის. მდგომარეობას ამწვავებს ის გარემოებაც, რომ იგინი ხელფასს თითქმის ყოველთვის ძალზე დაგვიანებით ღებულობენ.

ამხ. **ხეროფხანი** აღნიშნავს მწარმოებელთა მიერ ხელფასის თავის დროზე მიუცემლობას. რომ მომავალში ამას ადგილი არ ექნეს, ამხანაგს, საჭიროდ მიაჩნია ხელფასის კურსის მიხედვით გადახდა, მიცემის დროს.

ამხ. **ბახტიაროვი** ლაპარაკობს ხელფასის გათანაბრების, პოლიტიკაზე, რომელიც შეუწყნარებლად მიაჩნია სამეურნეო ორგანოების მიმართ, სადაც სპეცები განუსაზღვრელ ხელფასს ღებულობენ. შემდეგ ეხება საქონლის მანეთის ინდექსს, რომელსაც სრულიად მისაღებათ სთვლის. ბახტიაროვის შემდეგ იმავე საკითხზე ლაპარაკობენ ამხ. **მელიქოვი და ფედოროვი** რომელთა შეკითხვებსაც მომხსენებელი თავის საბოლოო სიტყვაში დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევს.

კომისიის არჩევა.

ამხ. **ყურულაშვილი** გამომუშავებულ თეზისების საფუძველზე რეზოლიუციის შესადგენათ წინადადებას იძლევა არჩეულ იქნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: **ჯუღელი,** მიქაძე, შავერდოვა, მელიქოვი, **დიმიტროპულო,** მოლჩანოვი, **ფედოროცომაია,** ლაშქრაშვილი, **ავეტისოვი,** ოჩიგავა, ბუაძე, პრეობრაჟენსკი, ალლაძე და ჯიჯაძე სია მიღებულია.

სხდომა იხურება 2 საათზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მეორე სესია

19 ივნისის დილის სხდომის გაგრძელება.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლობრივი განხილვა.

იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. **ვარძიელის** მიერ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლობრივათ წაკითხვის შემდეგ, სესია შეუდგა მის განხილვას. მომხსენებელმა აღნიშნა ის ცვლილებები, რომლებიც შეტანილ იქნა ადგილობრივი პირობების მიხედვით ჩვენს კოდექსში რუსეთის კოდექსთან შედარებით. წარმოდგენილ კანონპროექტის დეტალურათ განსახილველათ და მის რედაქციის საბოლოო გამოსამუშავებლათ არჩეულია იურიდიული კომისია შემდეგი ამხანაგების მონაწილეობით: ამხ. აკირტავა, გაგლოევი, ვარძიელი, ბროდსკი თუმანოვი, ნასარიძე, ვაშაკიძე, კარტოზია და თედო ღლონტი.

სალამოს სხდომა.

სამოქალაქო კოდექსი.

სამოქალაქო კოდექსის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. **ბროდსკი.** კოდექსის მუხლობრივი განხილვის და შენიშვნა განმარტებების მოსმენის შემდეგ სესია ადგენს მთელი მასალები ამ საკითხის შესახებ გადაეცეს დილით არჩეულ იურიდიულ კომისიას, რომლის შემადგენლობაში დამატებითი არჩეულ იქნენ ამხ. ელიავა და ალნიაშვილი.

აგრონომიული დახმარება.

აგრონომიული დახმარების ორგანიზაციის შესახებ მოხსენებით უნდა გამოსულიყო მიწად მოქმედების სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. კანდელაკი, მისი სხდომაზე არ ყოფნის გამო საერთო ხასიათის მოხსენებას აკეთებს მიწად მოქმედების კომისარი ამხ. **გ. სტურუა.** ამხ. სტურუა აღნიშნავს რომ არ კმარა, მარტო ის, რომ, გლეხს მიწა მივეცით, საჭიროა მივსცეთ ამ მიწის მოხმარის საუკეთესო საშუალება.

რაც შეეხება სათესლე მასალების მიწოდებას ღარიბი მაზრებისთვის, კომისარიატმა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება 90 პროცენტით განიზრახა.

საჭიროა მას დახმარება გაეწიოს როგორც ცოცხალი, ისე მკვდარი ინვენტარით, სასოფლო სამეურნეო იარაღებით. საჭირო მეურნეობის უკვე არსებული დარგების, როგორიცაა მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, და სხვა განვითარებისთვის ხელის შეწყობა.

პროვინციის ცენტრებში საჭიროა იარაღების საწყობების და მათი შესაკეთებელი სახელოსნოების მოწყობა. საჭიროა მეურნეობის მავნებლებთან და სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლის გაფართოება.

სამელიორაციო მუშაობა.

სამელიორაციო მუშაობა თვით მშრომელი გლეხობის ინიციატივით კარგათ მიმდინარეობდა 1921 წელში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების პირველ ხანებში. სამწუხაროთ ეს მუშაობა უკანასკნელ დროს გაცილებით უფრო ნელის ტემპით სწარმოებს და ბევრგან სრულებით შეჩერებულია. ამიერ-კავკასიის მასშტაბით დაარსებულია მეურნეობის აღმდგენი კომიტეტი და ის უკვე აწარმოებს სათანადო მუშაობას. საჭიროა ამ ხასიათის მუშაობის გაძლიერება ცალკე რესპუბლიკებში, კერძოდ საქართველოშიც, რომ მეურნეობა აღდგენილ იქნეს და გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესებული.

საფრანგეთის დელეგაცია მოსკოვში



პ. დელარუჟი

მოსკოვში ეხლა იმყოფება საფრანგეთის სავაჭრო დელეგაცია. მას მეთაურობს საფრანგეთის სავაჭრო წრეებში ცნობილი ფინანსისტი პ. დელარჟი; ის არის მთავრობის წარმომადგენელი პარიზის საფონდო ბირჟაში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ის ჩამოვიდა რუსეთში საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

დელეგაციის წევრია აგრეთვე ა. გედი საფრანგეთის ცნობილი სოციალისტის ჟიულ გედის შვილი.

დელეგაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რუსეთში მათი ჩამოსვლის მიზანია დაიკავონ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა რუსეთთან და განამტკიცონ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრში მუდმივ სავაჭრო ხელშეკრულების დადების აუცილებლობა.



ა. გედი

რადიო-დეპეშები

გადატრიალება ბულგარეთში

ევროპის სახელმწიფოების მილოცვები.

რომი. 20 ივნისი. სოფიიდან ვენაში მიღებულ ცნობების თანახმად, ევროპის რამდენიმე სახელმწიფომ მისაალმებელი დეპეშა გაუგზავნა ცანკოვს.

უკანასკნელი წინააღმდეგობა.

ბერლინი. 20 ივნისი. 600 მდე ეგრედ წოდებული „ყვითელი გვარდიელების“ წინააღმდეგობას უწევენ კიდევ მთავრობას. ბულგარეთის დანარჩენ ნაწილში წესრიგი აღდგენილია. უწესოების დროს მოკლულთა რიცხვი განისაზღვრება 500-დან 600 კაცამდე.

ცანკოვის მთავრობა მტკიცდება.

ლონდონი. 19 ივნისი. ბულგარეთის ცანკოვის მთავრობა ოფიციალურად იცნო რუმინეთმა. სოფიის უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროფესორები მოწვეული არიან მინისტრების თანამდებობაზე და უცხოეთის დიპლომატიურ უწყებებში.

ლონდონი 19 ივნისი. ცანკოვმა, ხუთი ბურჟუაზიული პარტიის ლიდერების მიღების დროს, განაცხადა, რომ ეხლანდელი კაბინეტი შედგენილია მხოლოდ დროებით. კაბინეტი საბოლოოდ შედგება ორი თვის განმავლობაში. ლიდერებმა აღუთქვეს ცანკოვს ლოიალური თანამშრომლობა.

პარიზი. 19 ივნ. ათენის მთავრობამ დაავალა თავის წარმომადგენელს, შევიდეს კონტაქტში ცანკოვის კაბინეტთან.

სტამბულინსკის მოკვლის შემდეგ.

რომი. 20 ივნისი. სტამბულინსკის დატუსაღებისა და აგრეთვე მისი მოკვლის ცნობის მიღების შემდეგ, სოფიაში მოხდა მთავრობისათვის თანაგრძნობის გამოცხადების მანიფესტაცია.

ბრბომ თვითგასამართლება მოახდინა პოლიციის ყოფილ უფროსზე სტოიანოვზე.

რურის ოლქის ოკუპაცია

შიმშილით სურთ ამოხოცონ რურის მცხოვრებნი.

ბერლინი. 19 ივნისი. ფრანგებმა მიიღეს მთელი რიგი ზომები, რომლებიც აბრკოლებენ რურის ოლქისათვის რძის მიწოდების საქმეს. ფრანგები ახდენენ აგრეთვე სურსათ სანოვაგის რეკვიზიციას.

ფრანგების მიერ რურის ოლქის სიმშილის ბლოკადის რკალში მოქცევის გამო პარიზის გაზეთი „პროგრეს ცივიკ" სწერს: „ჩვენ ეხლა ხელი მოვკიდეთ მეოთხე ჯღმას, იმის შემდეგ რაც ოთხი დამარცხდა. მაგრამ მეხუთესაც ასეთივე ბედი მოელის.

„ერ ნოველ" სწერს: „ოკუპაცია გაუმართლებელია, მხოლოდ პოლიტიკური ღონისძიებებით შეიძლება საფრანგეთის გამოყვანა იმ საშინელი მდგომარეობიდან, რომელშიც ის ახლა იმყოფება".

სტინესის ქარხნების დაკეტვა.

ლონდონი. 20 ივნისი. დაიხურა დიუსსელდორფის ახლოს მდებარე სტინესის ქარხნები, რომლებზედაც 4.000 კაცი მუშაობდა.

რური სრულებით მოწყვეტილია.

ლონდონი. 20 ივნისი. „დეილი მეილის" დიუსსელდორფის კორესპონდენტი იტყობინება, რომ რურის ჩამოშორება დანარჩენ გერმანიიდან დამთავრებულია. **პრუსიის ადმინისტრაცია ვესტფალის მატარებლებს ახალი საბოლოო პუნქტზე იღებს, რომელიც 5-7 მილით არის დაშორებული სამხედრო კორდონზე**

შიმშილის ბლოკადა ვერ მოდრეკს პასიურ წინააღმდეგობას.

ბერლინი. 20 ივნისი, ვესტფალიის სოციალ დემოკრატიულ პარტიის დელეგატების კრებამ დაადგინა, მიუხედავად შიმშილის ბლოკადისა, არ შეწყვიტოს წინააღმდეგობა იმ დრომდი, ხანამ საფრანგეთ-ბელგიის ჯარების ევაკუაცია არ მოხდება.

რურის საკითხი

იტალია თავის აზრს ადგია.

ბერლინი. 20 ივნისი. იტალიის გაზეთები ილაშქრებენ საფრანგეთის პოლიტიკის წინააღმდეგ რურში. ამ პოლიტიკის წყალობით საფრანგეთი ცდილობს მოკავშირეთა კონტროლისაგან გაანთავისუფლოს თავისი მოთხოვნილებანი, რომლებიც აღემატება ლეგალურ საკონტრიბუციო მოთხოვნილებებს. „პოპოლო დ'იტალია" და „ტრიბუნა" აფრთხილებენ იტალიის მთავრობას, რომ ხელშებოჭილი არ ჩაებას საქმეში.

მარკის დაცემა.

ბერლინი 20 ივნისი. ამ ჟამად საერთო აზრი ისეთია, რომ მარკის დაცემა გამოწვეულია საფრანგეთის მიერ რურსა და რეინლანდში მილიარდების მითვისებით; ეს ფული მათვე გამოიტანეს ბაზარზე და საშინლად დასწიეს მარკის ღირებულება.

საერთო ენის გამოსანახავად.

ლონდონი. 20 ივნისი. ლონდონის პოლიტიკურ წრეებში არ იზიარებენ გაზეთების პესიმისტურ შეხედულებას შექმნილ მდგომარეობაზე. კერძოთ სასურველ ნიშნათ მიაჩნიათ საფრანგეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის შემჩნეულ ლტოლვას ერთხელ და სამუდამოთ მიღწეულ იქნას შეთანხმება მოკავშირეთა შორის საკონტრიბუციო საკითხში.

საფრანგეთ ბელგიის პასუხი.

ბელგია. 20 ივნისი. ლონდონში მყოფ საფრანგეთის და ბელგიის ელჩებმა მიიღეს ინსტრუქცია გადასცენ ბრიტანეთის მთავრობას სიტყვიერი პასუხი მის ანკეტაზე, რადგან ბრიტანეთის კაბინეტს განზრახული აქვს განიხილოს რურის საკითხი ოთხშაბათს. საფრანგეთ-ბელგიის ოფიციალური პასუხი გადაეცემა ბრიტანეთის მთავრობას, როგორც კი დამთავრდება ბელგიის კაბინეტის კრიზისი. პარიზის პრესას გაუმჯობესებულად მიაჩნია ინგლისს-საფრანგეთის ურთიერთობა. გაზ. „ჟურნე ინდუსტრიელი" ითვალისწინებს ბრიტანეთის და საფრანგეთის შეთანხმებას რურის საკითხში.

პოლონეთის ამბები

კომპარტიის პროექტი აგრარული რეფორმის შესახებ.

ვარშავა. 17 ივნისი კომუნისტურ ფრაქციის მიერ სეიმში შეტანილი კანონპროექტი აგრარული რეფორმის შესახებ გულისხმობს მიწების უფასოდ ჩამორთმევას 60 ჰექტარზე ზევით და მათი უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონე გლეხებისათვის გადაცემას უღარიბეს გლეხების მიერ არჩეულ სადგილ-მამულო კომისიების საშუალებით.

სეიმის თავმჯდომარემ უარი განაცხადა კანონპროექტისათვის მსვლელობის მიცემაზე და აღნიშნა, რომ ის ეწინააღმდეგება პოლონეთის კონსტიტუციას, რომელიც „სამართლიან ანაზღაურებას" მოითხოვს.

პოლონეთის სამართალი.

ვარშავა. 17 ივნისი. ვარშავის საოლქო სასამართლომ ორი წლის კატორღა მიუსაჯა მარშან პოლონეთში დაბრუნებულ პიანტკოვსკის, პრიტცის და შლეზინგერს, რომელთაც ბრალი ედებათ პეტროგრადში მუშაობაში 1918 წელს.

პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობა.

ვარშავა 17 ივნისი. პოლონეთის სეიმში პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფინანსთა მინისტრი გრაბსკი, რომელმაც აღნიშნა, რომ პოლონეთის მარკის ჩქარი დაცემა დამოკიდებულია გერმანიის მარკის დაცემისაგან, რადგან პოლონეთის გატანილ საქონლის 60 პროც. მიდის გერმანიაში. გრაბსკის სიტყვით პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება შეიძლება გატანილ საქონლის რაოდენობის გადიდებისა და პოლონეთისათვის გასაღების მუდმივ ბაზრებით უზრუნველყოფის შემდეგ.

სეიმსა და სენატის თავმჯდომარეებმა საიდუმლო თათბირი მოიწვიეს მძიმე ფინანსიურ მდგომარეობის საკითხის გამოსარკვევად.

ლოზანას კონფერენცია

ვენიზელოსის მოთხოვნილება.

ბერლინი. 10 ივნისი. ვენიზელოსი, ცხადია ინგლისის დახმარებით, გამოვიდა ლოზანაში მოთხოვნილებით, რათა კონფერენციამ გადაჭრას ეხლავე ყველა სადავო საკითხები ოსმალეთთან, რასაც ეწინააღმდეგება საფრანგეთი.

ანატოლიის რკინის გზების დაყოფა

მილანი. 19 ივნისი. „კორიერე დელა სერა"-ს ცნობით, ლოზანას კონფერენციის წრეებში გაცხოველებული მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმ შეთანხმებამ, რომელიც მოხდა ერთის მხრივ ლონდონის შრედერის ბანკის და მეორეს მხრივ გერმანიის და აღმოსავლეთის რკინის გზების ციურიხის ბანკების წარმომადგენლებს შორის. **შეთანხმება ეხება ანატოლიის და ბაღდადის რკინის გზებს და მონაწილეობის უფლებას აძლევს გერმანელებს მათ მიერ დაარსებულ წარმოებაში. ამავე დროს ამ შეთანხმების ძალით ინგლისელებს კონტროლის უფლება აქვთ თითქმის ყველა რკინის გზებზე,** რაც საშუალებას მისცემს მას ინგლისის საჭიროების დროს გავლენა მოახდინოს ოსმალეთის მთავრობაზე.

გაზეთ „დემოკრატ"-ის ცნობების მიხედვით, იყო ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის კაპიტალისტების კონსორტიუმის შექმნის პროექტი ბაღდადის რკინის გზის ექსპლოატაციისათვის. ინგლისს და გერმანიას შორის დადებულმა შეთანხმებამ ჯვარი დაუსვა ამ პროექტს.

მოლაპარაკების ბედი.

ლონდონი. 18 ივნისი. ინგლისური გაზეთები მეტად უკმაყოფილონი არიან ლოზანას მოლაპარაკებით და მთელს პასუხისმგებლობას ოსმალეთის დელეგაციას აზვევენ.

„დეილი ტელეგრაფი" სწერს: თუ მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა, მაშინ კონსტანტინეპოლის ოკუპაციის პასუხისმგებლობა ოსმალეთს დააწვება, რადგანაც სტამბოლის ევაკუაცია დამოკიდებულია ოსმალეთის დათმობასე.

ახლო აღმოსავლეთში

არაბების კონგრესი.

რომი 20 ივნისი. არაბების კონგრესმა იაფფაში დაადგინა უარყოს ინგლის-არაბეთის ხელშეკრულება პალესტინის შესახებ.

წყალდიდობა მესოპოტამიაში.

ლონდონი. 20 ივნისი. „დეილი მეილის" ბაღდადის კორესპონდენტი იტყობინება, რომ მესოპოტამიაში წყალდიდობის გამო წყლით დაფარულია 120 კვ. კილომეტრის სივრცე.

ოსმალები სრუტეებისაკენ.

ბერლინი. 20 ივნისი. ბრიტანეთის ცნობების თანახმად, **ოსმალეთის ჯარები 30 მილით არიან დაშორებული სტამბოლიდან, ხილივრიის მიმართულებით. ლონდონში** აღნიშნავენ, რომ ეს გარემოება ეწინააღმდეგება მუდანის შეთანხმებას.

ეტნას ამოხეთქა

რომი. 19 ივნისი. ამ ბოლო დროს ვულკან ეტნას (სიცილიაშია) ამოქმედება დაეტყო და საშინელის სიძლიერით ამოხეთქა. ამოხეთქას წინ უძღოდა მაღლი წყვა გამყრუებელი გრგვინვისა, რომელსაც თან სდევდა ქვესკნეთის გუგუნი, ამავე დროს ქვესკნეთის ძლიერი ხეთქება არყევდა მიდამოს. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი თავზარდაცემული გარბოდნენ. ვულკანის ჭვერვალი კორიანტელში დაჰფარა და ხშირად ამოვარდებოდა ხოლმე გავარვარებულ ნაცარტუტის შადრევანი. მდუღარე ნივთიერების მდინარე ნელ-ნელა წამოიგრაგნა მთის ფერდობისკენ. უზარმაზარი ცეცხლის თქეში სიგანით 1 მილი და სისქით 30 ფუტი ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი წინ ხვდებოდა და თანდათან სწრაფად მოექანებოდა. გავარვარებული თქეშის სისწრაფემ საათში ორ კილომეტრს მიაღწია. ეტნას მთაზე ამართული ფიჭვის ტყე, ლინგუალოსის თავზე, ძირიან ფესვიანად მოსწვა. სულ ხუთ ნაკადათ ამოჰხეთქა ცეცხლის თქეშმა ზოგი ძველი კრატერებიდან და ზოგიც ახალი. ყველაზე დიდი თქეში მოიმართება ქ. ლინგუალოსის გზით. ამ ქალაქში 150,000 მცხოვრებია. მთელი ქალაქის მოსახლეობამ მიატოვა საცხოვრებელი ბინები და გარბის კატანიისაკენ. ადამიანის მსხვერპლი ცოტაა, რადგანაც ქვესკნეთის გუგუნმა წინდაწინვე აგრძნობინა მცხოვრებთ უბედურების მოახლოვება. საშიშ ადგილებიდან მოასწრეს მოსახლეობის გახიზვნა. ძვირფასი რამ მოძრავი ქონება გადაარჩინეს. კატანიის მცხოვრები ყოველნაირად ეხმარებიან შემოხიზნულებს, რომლებიც შიშის ზარისაგან გაოგნებულნი არიან. კატანია ეტნას არე-მარეში ყველაზე დიდი ქალაქია. თუმცა ცეცხლის თქეში ჯერ არ იმუქრება მას, მაგრამ მცხოვრებლები, ვისაც კი შეუძლიან, იხიზნებიან ქალაქიდან და თან მიაქვთ განძეული და ქონება.

უფრო ძლიერი ამოხეთქვა მოხდა კვირა დილით. ეტნა რამდენიმე ადგილას დასკდა და ამ ნაპრალებში პირი დააღრინა ცეცხლის მფრქვეველმა კრატერებმა. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი უმწეოთ უმზერდნენ, თუ თქეშით როგორ ნადგურდებოდა მათი მრავალი წლის ნამაგარი ხასხასა ვენახები. სახლები ისე ინგრეოდა, როგორც კარდონის ხუხულები. იმ სოფლების ქუჩებში, სადაც ჯერ არ მიაღწია თქეშს, მცხოვრებნი ჰმართავდნენ ცრუმორწმუნე ლიტანიებს, ზოგი სოფლის მცხოვრებნი ეკლესიებში შეიხიზნენ.

მუსოლინის განზრახვა აქვს შეაჩეროს თავისი მოგზაურობა ჩრდილო იტალიაში და სიცილიაში გაეშუროს.

ეტნა და ვეზუვი.

რომი. 20 ივნისი. კატანიაში 30,000 დე ლტოლვილი შეგროვდა ეტნას ამოხეთქის დროს დაზარალებულ ადგილებიდან. ნეაპოლიდან იტყობინებიან ვეზუვის მოქმედების გაძლიერების შესახებ.

რომი. 20 ივნისი. **კატანიიდან იტყობინებიან, რომ ეტნის განსაკუთრებული ძალით ამოხეთქა გრძელდება იმავე ინტენსივობით.**

სითხის მთავარმა დენამ, რომელმაც დაანგრია კასტილიონის რკინის გზის სადგური, იცვალა მიმართულება. მას გზაში შეხვდება ორი გორაკი, რასაც შეუძლია მისი მიმართულების შეცვლა. ამაზე არის ეხლა დამოკიდებული ქალაქ ლინგუალოსის ბედი.

სხვადასხვა ამბები

პაპის ოფიციოზი ამხ. ვოროვსკის მოკვლის შესახებ.

რომი. 19 ივნისი. პაპის ტახტის ოფიციალურმა ორგანომ მოათავსა თანაგრძნობითი წერილი ამხ. ვოროვსკის ხსოვნის შესახებ, რომელშიაც აღნიშნავს იმ დიდ შთაბეჭდილებას, რომელიც იქონია ამხ. ვოროვსკის დაღუპვამ მთელს ევროპაში „ჩვენ, ამბობს გაზეთი, ვგრძნობთ საშინელებას საერთოდ ყოველგვარ ჩადენილ ძალადობისა და არ შეგვიძლია არ შეუერთდეთ მწუხარებას, რომელიც გამოიწვია ამ მკვლელობამ, რომელმაც იმსხვერპლა სწორედ ერთი იმათთაგანი, ვინც განსაკუთრებულ ენერგიას იჩენდა მშვიდობიანობის დაცვის საქმეში.

საფრანგეთი

პუანკარე გადადგომით იმუქრება.

ბერლინი. 20 ივნისი. საფრანგეთის რადიკალური პარტია მოითხოვს კაბინეტში შემავალ თავის წევრებისა და მინისტრთა ზოგიერთ ამხანაგების გადადგომას. პუანკარემ რადიკალ მინისტრებს შეატყობინა, რომ თუ ისინი მოითხოვენ გადადგომას, მაშინ ის თვითონ გადადგება.

უმუშევართა რიცხვი იზრდება.

რომი. 20 ივნისი. კვირას მარსელში დაიხურა ლითონის დამამუშავებელი წარმოებები. მუშები უადგილოდ დარჩნენ.

იტალია.

ფიუმეს საკითხი

რომი 20 ივნისი. სტეფანის სააგენტო იტყობინება, რომ დღეს იტალიის საგარეო საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში განახლდება იტალია—სამხრეთ—სლავიის კომისიის ოფიციალური სხდომები ფიუმეს საკითხის შესახებ.

პოლონეთი

ბალახოვიჩის მოკვლა

პარიზი. 19 ივნისი. პოლონეთიდან მიღებული ცნობებით, იქ მოჰკლეს თეთრგვარდიელების გენერალი ბალახოვიჩი. მკვლელი მიიმალა.

ამერიკა

12 მილიანი ზონა

ლონდონი. 18 ივნისი. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, იუზმა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებს გადასცა ხელშეკრულების პროექტი, რომლის ძალითაც **ამერიკის მთავრობას უფლება ეძლევა ამერიკის ზღვის სანაპირო საზღვრების 12 მილიან ზონაში გაშინჯოს და კონფისკაცია უყოს იმ გემებს, რომელნიც მაგარი სასმელების კონტრაბანდით გაზიდვაში იქნებიან შენიშნული.**

ბელგია

ბელგიის მთავრობის კრიზისი

ბერლინი. 19 ივნისი. ბელგიის სოციალისტური პარტიის საგანგებო კრებაზე პროფკავშირების წარმომადგენელმა მერტენსმა სასტიკად გააკრიტიკა მეფის პოლიტიკა, რომელიც არის ფინანსისტების ხელში და მხარს უჭერს რეაქციას. კრებამ გამოიტანა დადგენილება, რათა მხარი დაუჭიროს შეურიგებელ ბრძოლას ყველა მთავრობასთან, რომელიც აირჩევს ტენისის საგარეო პოლიტიკის გზას.

მთავრობის კრიზისი

ლონდონი. 20 ივნისი. გადმოგვცემენ, რომ ტენისი ვერ შესძლებს კაბინეტის შედგენას, რამოდენიმე დღის გასვლამდე. საერთო აზრი ისეთია, რომ ის იძულებული იქნება თვითონვე განიხილოს საფრანგეთთან ერთად— პასუხი ინგლისის ანკეტაზე

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

პურის სესხი.

ეკატერინოსლავი. 17 ივნისი. მოთხოვნილება პურის სესხის ობლიგაციებზე იზრდება. ობლიგაციები გაყიდულია 125,000 ფუთზე.

ნახშირის ამოღება.

ბახმუტი. 17 ივნისი. ივნისის პირველი ორი კვირის განმავლობაში დონის ბასეინის მაღაროებში ამოღებულია 16,500,000 ფუთი ნახშირი—ერთი თვის ვარაუდის ნახევარი.

სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის 5 წლის თავი.

მოსკოვი. 19 ივნისი. 18 ივნისს, მრავალრიცხოვანი სტუდენტების და სტუმრების თანდასწრებით, საზეიმოდ გადახდილ იქნა სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის 5 წლის იუბილე. ზეიმზე მონაწილეობას ღებულობდენ ხარკოვის, სარატოვის, ნიჟნის და შუა-აზიის კომუნისტური უნივერსიტეტების დელეგატები.

სხდომა გახსნა მოკლე სიტყვით ამხ. კირსანოვამ. რუსეთის კომუნისტური პარტიის ცეკას სახელით დამსწრეებს ესალმება ამხ. ტროცკი. „თუ რომელიმე ჩვენთაგანი (გამოტოვებულია), ამბობს ამხ. ტროცკი, ღირსია ყურადღების და იწვევს დიდ სიხარულს, ეს არის სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის იუბილე.

ჩვენი უნივერსიტეტის მიზანია ახალი თაობის აღზრდა.

მასში უნდა მომზადდეს კაცი, რომელმაც უნდა გადაიხადოს ბრძოლა მომავალი ჰარმონიული ცხოვრების შესაქმნელად".

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

მოსკოვი. 17 ივნისი. სასურსათო სახალხო კომისარმა ბრიუხანოვმა საუბარში განაცხადა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის მთელ რიგ გუბერნიების მოვლის შემდეგ ის ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ მთელი გლეხობა აფასებს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის უპირატესობას. გადასახადის აკრეფას არავითარი დაბრკოლება არ ელობება.

ვიტებსკი. 16 ივნისი. საგუბერნიო საფინანსო განყოფილებამ გამოუშვა 10,000 პოპულიარული ბროშიურა,— „რა უნდა იცოდეს გლეხმა მთლიანი გადასახადის შესახებ",—უფასოდ გასავრცელებლად გლეხებს შორის.

პურის სესხი.

რიაზანი. 16 ივნისი. საგუბერნიო საფინანსო განყოფილებაში პურის სესხის ობლიგაციები გაიყიდა 60,000 ფუთზე. მაზრებიდან მოდის მოთხოვნილება.

სამარა. 16 ივნისი. მიღებული პურის სესხის ობლიგაციები გაიყიდა 115,000 ფუთზე. ქარხნების მუშებმა შეიძინეს ობლიგაციები 8000 ფუთზე.

ვიტებსკი. 16 ივნისი. ყველა მიღებული ობლიგაციები გაყიდულია.

ცენტრში გაიგზავნა მოთხოვნილება 500,000 ფუთზე.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მოსკოვი. 19 ივნისი. გამოფენის მთავარ კომიტეტში უცხოელი ფირმებიდან შემოვიდა 40 მეტი განცხადება გამოფენაში მონაწილეობის სურვილის შესახებ პირველი ადგილი უჭირავს გერმანიის ფირმებს—კრუპს, სიმენსს, შუკკერტს, მაუზერს და სხვებს. შემდეგი ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს—11 სხვადასხვა ფირმით, რომელთაც გამოფენაზე აქვთ საკუთარი პავილიონი. სხვა ექსპონატებს შორის ამერიკელებს გამოფენაზე ექნებათ სარძევე ფერმის სრული მოწყობილობა.

საფრანგეთს გამოფენაზე გარდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა ექნება წარმოდგენილი იაფი სახლების მოდელები. ჩეხო-სლოვაკეთი, შვეიცარია და ფინეთი აგზავნიან საუკეთესო ჯიშის საქონლის ნიმუშებს. გამოფენაზე თავისი ექსპონატები ექნებათ აგრეთვე ბელგიას, ინგლისს, იტალიას, ბულგარეთს, ლიტვას, ესტონეთს, დანიას და ოსმალეთს. დიდ ინტერესს იჩენს გამოფენისადმი სპარსეთი. სპარსეთში მოეწყო სპეციალური კომიტეტი, რომელიც მიზნათ ისახავს ხელი შეუწყოს სპარსელ ვაჭრებს გამოფენაში მონაწილეობის მისაღებათ.

ახალი რესპუბლიკა.

მოსკოვი. 19 ივნისი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გააერთიანოს ავტონომიურ ბურიატ მონგოლეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ბურიატების და მონგოლების ავტონომიური რესპუბლიკები. ახალი რესპუბლიკის ცენტრი იქნება ვერხნეუდინსკი. სპეციალურ კომისიას დაევალა პირველ აგვისტომდი გამოიმუშავოს ახალი რესპუბლიკის საზღვრები.

მლითონეთა ყრილობაზე.

მოსკოვი. 19 ივნისი. სრულიად რუსეთის მლითონეთა ყრილობაზე ცეკას მიერ წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ თავისუფალ ვაჭრობის შემოღებამ გამოიწვია კავშირის ხარისხის გაუმჯობესება. კავშირის გაუმჯობესებულმა ფინანსიურმა მდგომარეობამ საშვალება მისცა დაარსებია საურთიერთო დახმარების და სოციალურ დაზღვევის ფონდი და აგრეთვე გამოეყო უმუშევართა დასახმარებლად 1.200.000 მანეთის ფონდი.

ლითონის მთავარ სამმართველოს მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ლითონის მრეწველობაში თვითეული მუშის ნაყოფიერება უდრის ომამდე არსებულის პროდუქციის 50 პროც. წარმოების შემდეგი კონცენტრაცია საშუალებას მისცემს 1927 წელში გადიდებულ იქნეს თვითეული მუშის წარმოება 3 ჯერ უფრო მეტად. ელექტრონის მთავარი სამმართველოს მომხსენებელმა გოლდმანმა აღნიშნა ელექტრონის მუშების და აგრეთვე ელექტრონის „სჩეტჩიკების" წარმოების გაფართოება, რაც იმიდს იძლევა, რომ ეს წარმოება განთავისუფლებულ იქნება საზღვარგარეთის დამოკიდებულებისაგან. გლეხთა ქალაქების მასათა ელექტროფიკაციისაკენ ლტოლვის გამო ელექტრონის ძალის მთავარ სამმართველოს განზრახული აქვს ფინანსიური დახმარება გაუწიოს წვრილ ელექტროფიკაციას.

ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო.

მოსკოვი. 19 ივნისი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის სახელზე მოსულ დეპეშაში მუსლიმანურ სამღვდელოების ყრილობა ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს შეაჩეროს ჩაგრულ ხალხთა ლტოლვა განთავისუფლებისადმი.

სატრანსპორტო კოოპერაციათა ყრილობა.

მოსკოვი. 19 ივნისი. სატრანსპორტო კოოპერაციის დელეგატთა ყრილობა გაიხსნა 18 ივნისს. ამხ. ხინჩუკმა აღნიშნა, რომ სატრანსპორტო კოოპერაცია ყოველთვის იყო ერთი ღონიერესი და უძლიერესი მუშათა კოოპერაციათ.

სესხი მუშებს.

მოსკოვი. 19 ივნისი. მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის რწმუნებულთა სესია დასრულდა. სესიამ დადგენილება მიიღო, რომ მუშებისათვის მისაცემი სესხის ფონდის გადიდების შესახებ ხანგრძლივის ვადით და სარგებლის გადაუხდელათ.

პურის სესხი.

მოსკოვი. 19 ივნისი. სახელმწიფო ბანკმა 10 დღის განმავლობაში გაჰყიდა პურის სესხის ობლიგაცია 1 მილიონ ფუთისა. მყიდველთა უმეტესობა გლეხები და მუშებია.

გერმანიაში იწვევენ.

მოსკოვი. 19 ივნისი. პრუსიის სახალხო ჯანმრთელობის სამინისტრო რუსეთის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის საშუალებით წინადადებას აძლევს რუსეთის ექიმებს ეწვიონ საზაფხულო სამკურნალო კურსებზე, რომელიც შეეხება ფიზიკური კულტურის საკითხებს. კურსები გაცნობს დამსწრეთ ამ დარგის ახალ მიღწევას.

პროფინტერნში

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროში.

ტრანსპორტის მუშათა კონფერენციის შესახებ.

აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე დასმულ საკითხებიდან, მთავარი ყურადღება მიქცეული ქონდა ამას წინად დასრულებულ ტრანსპორტის მუშათა კონფერენციასთან დაკავშირებულ საკითხებს. საერთო პოლიტიკური ხასიათის, მოხსენება ამ კონფერენციის შესახებ გააკეთა ამხ. ლოზოვსკიმ.

საქმის ფაქტიური მხარეს გარდა, რომელიც საკმაოდ იყო გაშუქებული რუსეთის პრესაში; აცხადებს ამხ. ლოზოვსკი, მნიშვნელოვანია აგრეთვე ის მოსაზრებანი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ტრანსპორტის მუშათა კონფერენციისაგან ერთიანი ფრონტის გაფართოების დარგში მომავალი მუშაობის საწარმოებლად. ამხ. ლოზოვსკი აყენებს კითხვას—რატომ სწორეთ დღეს დაიწყო ამსტერდამის ინტერნაციონალში მიმდინარეობა ერთიანი ფრონტის სასარგებლოთ და უპასუხებს, რომ ეს მიმდინარეობა არის ნაყოფი პროფინტერნის ორი წლის მუშაობის, მუშათა მასების გარევოლიუციონერობას ნაყოფი, რომელშიაც მთავარი როლი ითამაშეს კომუნისტებმა და პროფინტერნის მომხრეებმა. ტრანსპორტის მუშათა დღევანდელი კონფერენცია, რომელმაც შესაძლოა, გადასდგა მხოლოდ პირველი ნაბიჯი წინ ერთიანი ფრონტის შექმნის საქმეში, იყო რეფორმისტულ ორგანიზაციების შინაურ ცვლილების შედეგი, მუშათა მასების მარცხნივ გადახრის და ამსტერდამის ინტერნაციონალის წინამძღოლთა მიერ შემოტეულ კაპიტალის მოსაგერიებლად ახალი მეთოდების მუშების შედეგი. გარდა საერთო მიზეზისა, იყო სხვა გარემოება, რამაც მოაახლოვა ერთიანი ფრონტის მოწყობა. ამ უკანასკნელ მიზეზთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰააგის კონგრესის გადაწყვეტილებათა გაკოტრება და ამსტერდამის ინტერნაციონალის უმწეობა რაიმე ნაბიჯი გადადგას რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ. იმათთვისაც, ვინც ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო ამსტერდამის ინტერნაციონალის საერთაშორისო ძლიერებაში, ჰააგის კონგრესის გადაწყვეტილებათა გაკოტრებით და ამსტერდამის ფაქტიური უარის გამო ცხოვრებაში გაეტარებია ეს გადაწყვეტილებანი, საბოლოვოთ გამოირკვა მისი წინანდელი ტაქტიკის შეუსაბამობა და საჭირო გახდა „გამოეცვალათ სამიზნო". და ნათელი გახდა, რომ ახალი სამიზნო მხოლოდ მარცხნივ უნდა აეღოთ.

რატომ წავიდენ შეთანხმებაზე.

ახალი საკითხი, რომელიც დგება ტრანსპორტის მუშათა კონფერენციის გამო, ეს საკითხია იმის შესახებ, თუ რატომ ტრანსპორტის მუშები პირველად წავიდენ შეთანხმებაზე. რევოლიუციონურ კავშირებთან ეს მოხდა იმიტომო, უპასუხებს ამხ ლოზოვსკი, რომ ტრანსპორტის მუშათა შორის ჩვენი გავლენა უფრო ძლიერია იმიტომ, რომ ჰააგის კონგრესის გადაწყვეტილებათა თანახმად, ტრანსპორტის მუშებს უნდა თანახმათ გადამწყვეტი როლი ომის წინააღმდეგ ბრძოლაში და ძალიან ჩქარა ამსტერდამის ინტერნაციონალის ყოფაქცევის წყალობით, მათ იგრძნეს თავისი უძლურება.

ჩვენი პოზიცია.

ამ კონფერენციაზეო, ამბობს ამხ. ლოზოვსკი, ჩვენ არ გამოვცხადდით პროგრამა-მაქსიმუმით. ჩვენი პროგრამა ყველა პროფკავშირების შეერთება პროფინტერნთან. ჩვენ გამოვცხადდით კონფერენციაზე შეთანხმების ფარგლების შესამუშავებლად, რადგან ჩვენთვის ცხადი იყო, რომ ის პრინციპიალური სხვადასხვაობა, რომელიც არსებობდა ჩვენსა და მემარჯვენეებს შორის, არ მოისპობოდა ამ კონფერენციის შემდეგ, რადგან ამსტერდამის ინტერნაციონალის მემარცხენე ხელმძღვანელები ჯერ კიდევ შორს დგანან ჩვენი მსოფლმხედველობისაგან.

ცენტრალური საკითხი.

ამ კონფერენციის დისკუსიათა ცენტრალური პუნქტი იყო საკითხი კომუნისტების პროფკავშირებში მუშაობის შესახებ. ამის შესახებ ოფიციალურად ძალიან ცოტა ითქვა, მაგრამ ბიდეგარის, დერინგის და სხვათა სიტყვებში ნათლად გამოსჭვიოდა ეს შიში პროფმოძრაობაში კომუნისტების გავლენის ზრდის წინაშე საკითხი დაისვა ისე, რომ შეთანხმება შესაძლოა თუ კომუნისტური პარტიები „თავს გაანებებენ პროფმოძრაობაში ჩარევას".

მთავარი ბრალდება, რომელსაც ამსტერდამელები უყენებდენ კომუნისტებს, ეს არის თითქმის პროფმოძრაობაში განხეთქილების შეტანის ტაქტიკა. ამ ბრალდების პასუხათ, ჩვენ წინადადება მივეცით, დაგვეთვალიერებია მათ წარმომადგენლებთან ერთად ყველა ქვეყნები, სადაც ტრანსპორტის მუშათა კავშირები გათიშულნი არიან და ერთად მიგვეღო ზომები მათ გასაერთიანებლად. ჩვენი წინადადება ამსტერდამელებს არ მოეწონათ, უმთავრესად იმიტომ, რომ ასეთი გაერთიანებული მოგზაურობა ვერაფერს სამსახურს გაუწევდა ამსტერდამის ინტერნაციონალის ავტორიტეტის განმტკიცებას მუშათა ფართო მასებს შორის.

უახლოესი ტაქტიკა.

შემდეგი საკითხი, რომელმაც გამოიწვია უთანხმოება იყო საკითხი უახლოეს ტაქტიკის შესახებ. რუსეთის პროფკავშირთა წარმომადგენლები ამბობდნენ: „ჩვენ რომ კიდეც გადაგვეწყვიტა თქვენთან ერთად მოგვეწყო მოქმედების საერთაშორისო კომიტეტი ომისა და ფაშიზმის საშიშროების წინააღმდეგ, ამ კომიტეტის მუშაობა შეფერხებული იქნება, თუ ანალოგიური ორგანიზაციები არ იქნება მოწყობილი თვითეულ ქვეყნის ტრანსპორტის მუშათა შორისო".

ჩვენ წინადადებას ამსტერდამელები წინააღმდეგობით შეხვდენ, იმიტომ რომ მათ არ ჰქონიათ მტკიცე რწმენა იმაში, რომ ისინი ცხოვრებაში გაატარებენ შეთანხმების ძირითად პუნქტებსაც კი. მთავარი მოსაზრება ჩვენი წინადადების წინააღმდეგ იყო, ის, რომ მისი მიღება არ შეიძლებაო ტრანსპორტის მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის სანქციის გარეშე.

არ იქნა აგრეთვე საბოლოვოდ დამტკიცებული საკითხი ყველა მიმართულების ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო კონგრესისათვის ერთად მზადების შესახებ. დაგვეთანხმენ მხოლოდ იმაზე, რომ კონგრესი უნდა იქნეს მოწვეული სექტემბერში ან ოქტომბერში, მაგრამ მისთვის მზადება თვითეულმა მხარემ ცალკე უნდა აწარმოვოს.

შეთანხმების პერსპექტივები.

როგორია მიღწეულ შეთანხმების პერსპექტივები? შეთანხმება მოხდა ძალიან მოხერხებულ მომენტში—ერთდროულად სოციალ-დემოკრატების ჰამბურგის კონგრესთან, რომელზედაც კომუნისტებთან შეთანხმების აზრიც კი დაუჯერებლად მიაჩნდათ. ამ მხრივ ჰამბურგის კონგრესის სულიერ განწყობილების დასახასიათებლად ითვლება ერთ ერთი მის თავმჯდომარის ველსის სიტყვები: „რამდენადაც ჩვენ ძლიერნი ვიქნებით კომუნისტებთან ბრძოლაში, იმდენად ძლიერნი ვიქნებით რეაქციასთან ბრძოლაშიო". ამხ. ლოზოვსკი მოგვითხრობს მეტად დამახასიათებელ ფაქტზე; იმ დროს, როდესაც ამსტერდამის ერთ-ერთი მდივანი—უდეგესტი ესალმებოდა ჰამბურგის კონგრესს, ამ ინტერნაციონალის მეორე მდივანი—ფიმმენი შეთანხმებას აწყობდა რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციებთან. ეს იმას ამტკიცებს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს შიგნივ წინააღმდეგობანი იმდენად გამწვავდა, რომ მისი გახრწნა პირდაპირ აუცილებელი იქნება.

იქნება თუ არა შეთანხმება ჩაშლილი.

იქნება თუ არა ეს შეთანხმება ჩაშლილი აღმასკომის მომავალ სხდომაზე ტრანსპორტის მუშათა ინტერნაციონალის მემარჯვენე ელემენტების მიერ? ჩაშლის შესაძლებლობა სულ ადვილადაა მოსალოდნელი. უკვე დღეს ჩვენ გვაქვს გერმანიის რკინისგზელთა და ტრანსპორტის გაერთიანებულ მუშათა განცხადება „იმის შესახებ, რომ ისინი უარყოფენ ყოველგვარ მონაწილეობას შეთანხმებაში და მოქმედებებში, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო მოძრაობას" ე. ი. ამსტერდამის ინტერნაციონალის პოზიციას. ამგვარად, კონფერენციის გადაწყვეტილებათა მიმართ საბოტაჟი უკვე დაიწყო. მაგრამ სავსებით გარკვეულად აცხადებს ამხ. ლოზოვსკი, რომ ტრანსპორტის მუშათა ინტერნაციონალის აღმასკომის უარი ჩვენთან შეთანხმებაზე გამოიწვევს მათ რიგებში კიდევ მეტ დეზორგანიზაციას და იქნება არასასურველი ფაქტორი ტრანსპორტის მუშათა ფართო მასების მოქმედებაში.

რეზოლიუცია.

ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო აღმასრულებელმა ბიურომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მთლიანად იწონებს რუსეთის ტრანსპორტის მუშათა კავშირების მოქმედებას და მათ ტაქტიკას ტრანსპორტის მუშათა ინტერნაციონალთან მოლაპარაკების დროს.

საკითხს კონფერენციის გადაწყვეტილებათა მიმართ დაწყებულ საბოტაჟის შესახებ, აღმასრულებელი ბიურო გამოჰყოფს ცალკე და გადადის კონფერენციაზე მიღწეულ შეთანხმების წინააღმდეგ დაწყებულ გამოსვლებთან ბრძოლის საშუალებათა განხილვაზე.

თავის დადგენილებაში ამ საკითხის გამო აღმასრულებელი ბიურო აცხადებს, რომ საჭიროა ტრანსპორტის მუშათა მასებს შორის ფართო კამპანიის წარმოება მიღწეულ შეთანხმებათა მნიშვნელობის განსამარტავათ. ამასთანავე, საჭიროა მემარჯვენე ელემენტების პოლიტიკის გამომჟღავნება, იმ ელემენტების, რომელთაც სურთ შეთანხმების ჩაშლა და ამით კი პროფესიონალურ მოძრაობაში განხეთქილების შეტანა და ომის და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება.

ტრანსპორტის მუშებთან მიღწეული შეთანხმება დღის წესრიგში აყენებს საკითხს ამ შეთანხმების სხვა კავშირებზე გავრცელების შესახებ. ამსტერდამის ინტერნაციონალის მარცხენე ფრთის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ ობიექტიური პირობები, რომელიც ხელს უწყობს შემათანხმებელ კონფერენციების მოწვევას მოიპოვება შემდეგ კავშირებში: მლითონეთა, კვების, მოსამსახურეთა, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა, მეტყევეთა, ხის დამმუშავებელთა, სასოფლო სამეურნეო მუშათა და თერძთა კავშირებში. საჭიროა ახლავე დავიწყოთ მზადება ამ კონფერენციებისათვის, და წამოვაყენოთ შემდეგი 3 ძირითადი ლოზუნგი: 1) ბრძოლა ომის საშიშროების წინააღმდეგ, 2) ბრძოლა ფაშისტურ რეაქციის წინააღმდეგ და 3) ამა თუ იმ წარმოების ყველა მუშათა ერთიანი კავშირის შექმნა.

ამ საკითხის გამო აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა მიანდოს პროფინტერნის საორგანიზაციო განყოფილებას, პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტებთან ერთად დაწვრილებით დაამუშაოს საჭირო ღონისძიებანი მოსამზადებელი კამპანიის ჩასატარებლად.

უკანასკნელად აღმასრულებელი ბიურო იხილავს საკითხს ჰოლანდიაში საქმის მდგომარეობის შესახებ. ჰოლანდიის ნაციონალურ მუშათა სეკრეტარიატის (სინდიკალისტურ ორგანიზაციის) მიერ თავის წევრთა შორის მოხდენილ რეფერენდუმზე, პროფინტერნთან შეერთებას ხმა მისცა 7.302 კაცმა, სინდიკალურ ინტერნაციონალის მომხრე იყო—6,488 კაცი.

განიხილა რა ნაციონალურ მუშათა სეკრეტარიატში შექმნილი მდგომარეობა, აღმასრულებელმა ბიურომ დაადგინა, მნიშვნელოვან აბსენტეიზმის გამო, რომელიც გამოიჩინეს ნაციონალურ მუშათა სეკრეტარიატის წევრებმა რეფერენდუმისადმი და იმის გამო, რომ სინდიკალისტებმა, რომელნიც ილტვოდენ ორგანიზაციაში განხეთქილების შეტანისაკენ, რეფერენდუმის დროს მიიღეს უმცირესობა, წინადადება მიეცეს პროფინტერნის მომხრეებს, რომელთაც დროებითი უმრავლესობა მიიღეს, რათა თავიდან აიცილონ გათიშვა, თავი შეიკავონ პროფინტერნთან ორგანიზაციულად შეერთებისაგან.

უცხოეთის ცხოვრება

მსხვილი კაპიტალის კონცენტრაციის ახალი ტალღა შეერთებულ შტატებში.

ბ-ნ გარდინგის მთავრობის დროს, რომელმაც განაცხადა, რომ რაც შეიძლება ნაკლებ ჩავერევი ეკონომიურ ცხოვრებაშიო, ამერიკის მსხვილი კაპიტალის კონცენტრაციამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მსხვილი კონცერნების გაერთიანება მსგავს კომბინატებთან სწრაფად ხდებოდა. ამ რამდენიმე ხნის წინათ გაერთიანდა სპილენძის დამმუშავებელი ორი დიდი კომპანია: ანაკონდას და ჩილის, და ამ რიგათ საფუძველი ჩაეყარა სპილენძის ტრესტს კაპიტალით 470 მილიონი დოლარი. ხორცის კონსერვების ორი დიდი კომპანია—ამორ პაკინგ კომპანი და მორის პაკინგ კომპანი—გაერთიანდენ ერთ დიდ კონცერნში კაპიტალით 550 მილიონი დოლარი. შემდეგ გაერთიანდენ ვიფლეების და მედივილის ფოლადის ჩამომსხმელი ქარხნები. ამ ახალ კომბინატს მეორე ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებში ფოლადის დამუშავების საქმეში. გაერთიანების ტენდენციები ემჩნევა რკინის გზების კომპანიებს, ნავთის მრეწველობას და სხვა. გაერთიანების ყველა ამ პროცესების უკან სდგას ვოლლ სტრიტის (ნიუ-იორკის ბირჟის) ფინანსიური კაპიტალი. ყველა კომპანიებში დღის წესრიგში დგას კაპიტალების გადიდება. ოთხი დიდი საზოგადოების კაპიტალი უკვე მილიარდებს გადასცილდა. ამერიკის ტელეფონისა და ტელეგრაფის კომპანიამ ამას წინათ თავისი კაპიტალი ერთი მილიონი დოლარით გაადიდა და ამით აჯობა ფოლადის ტრესტს, რომლის კაპიტალი ცხრაას ორმოცდაათ მილიონ დოლარს უდრის. სტანდარტ ოილ კომპანის კაპიტალი უდრის 825 მილიონ დოლარს. მოტორების გენერალური კომპანიის კაპიტალი უდრის 1 მილიარდ 200 მილიონ დოლარს. თანაბრად კოლოსალური მოგება, რომელიც 1923 წელს მიიღეს ტრესტებმა და კომპანიებმა და ის დივიდენდიც, რომელიც მათ დაარიგეს.

კაპიტალის ეს კოლოსალური კონცენტრაცია, თავისთავად ცხადია, დიდ უკმაყოფილებას იწვევს წვრილ ბურჟუაზიაში. თავის დროზე წვრილი ბურჟუაზია რუზველტის მეთაურობით შეეცადა შეესუსტებია მსხვილი ტრესტების ძლიერება, ახლაც წვრილი ბურჟუაზიის მეთაურები ამასვე ცდილობენ. კვლავ ახლოვდება არჩევნები და ისინი ეძებენ ლოზუნგებს, რომ მიიმხრონ მუშები, წვრილი ვაჭრები და უკმაყოფილო მეურნეები.

წვრილი ბურჟუაზიის ახლანდელმა მოწინავე მებრძოლმა სენატორმა ლა ფოლეტმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ტრესტებს. მას 1923 წელს სურს მიაღწიოს იმას, რაც რუზველტმა ვერ შესძლო 1910 წ. ნახშირის ტრესტი უნდა დაიშალოს, მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები რათა რკინის გზის კომპანიები, რომელთაც დიდი გავლენა აქვს ნახშირის ტრესტზე, ჩამოშორებული იქნეს ნახშირის მრეწველობისაგან. გამორკვეული უნდა იქნეს აგრეთვე საქმის მდგომარეობა შაქრის ტრესტში, რადგან სენატორი ლა ფოლეტი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ტრესტი სარგებლობს რა თავისი მონოპოლური მდგომარეობით, თავისი სურვილებისამებრ აწესებს ფასებს შაქარზე. მეორე მხრით მიწად მოქმედების ახლანდელი მინისტრი ვალასი აცხადებს, რომ ის პროტესტით გამოვა შეერთებული შტატების სასამართლოს უმაღლეს პალატაში ხორცის კონსერვების ტრესტის შექმნის გამო. ფოლადის ტრესტებს, რკინის გზების კომპანიებს და ბანკებს ძლიერ აშინებს ასეთი გამოსვლები, რომლებიც შესაძლოა მათ წინააღმდეგაც დარჩეს მიმართული. განსაკუთრებით ენერგიულათ ილაშქრებს ლა ფოლეტი სტანდარტ ოილ კომპანის წინააღმდეგ. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს ტრესტი გაძლიერდა სწორეთ ე. წ. დახურვის შემდეგ 1911 წ.

მთავრობა თავის მხრივ ცდილობს მოიგოს ფერმერების და წვრილი ბურჟუაზიის გული. ის ცდილობს გამოსტაცოს ლა ფოლეტს ტრესტებთან ბრძოლის ლოზუნგები, რომ ამით დაუბრუნოს დაკარგული მნიშვნელობა გარდინგის სისტემას. მაგრამ აშკარაა და გარკვეულ ეკონომიური კანონების წყალობით ვოლლსტრიტის ძლიერება ყოველ წლიურათ მატულობს დივიდენდების, მოგების და გაერთიანების საშუალებები. წვრილი ბურჟუაზიის სასოწარკვეთილი ხმები ვერ შეაჩერებს ისტორიის მსვლელობას.

„ინპრეკორ".

ამიერ კავკასიის ფურცლებში

საქართველო

ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება.

ბათომი. 18 ივნისი. ამიერ-კავკასიის სატრანსპორტო მომხმარებელ საზოგადოების ბათომის განყოფილება გაუქმდა.

ჰიდრო სადგურის აგება.

ბათომი 18 ივნისი. კომუნალურ მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით არქოსის საზოგადოება კისრულობს სამანქანო ნაწილების მოტანას აჭარის-წყალზე ჰიდროსადგურის ასაგებად.

აზერბეიჯანის ნავთის წარმოების სამმართველოში

ბათომი. 18 ივნისი. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველოს ბათომის განყოფილებამ დაადგინა: აღრიცხოს სამრეწველოში მყოფი ყველა ბავშვები, დაჰყოს ისინი წლოვანობისა და სწავლის მიხედვით და კავშირი გააბას არსებულ საბავშვო ბაღებთან და სხვა საბავშვო დაწესებულებებთან; გამოარ-

ლის, თუ ამ დაწესებულებებში რამნი ბავშვის მოთავსება შეიძლება ერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მმართველობის ფარგლებიდან და რა ომები უნდა იქნას მიღებული, რომ ეს ბავშვები „სპარტაკში" ჩასაწერად მიიზიდონ. დადგენილია, აღირიცხოს „ნავთ-კავშირის" უპატრონო ბავშვები, მათთვის პირველი საფეხურის სკოლებში და თვალყური ადევნონ, რომ რომელთა ბავშვები სკოლაში დაიარებოდნენ.

აბხაზეთი

განათლების სახალხო კომისარიატში.

სოხუმი. 19 ივნისი. აბხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის და მის ქვემდებარე დაწესებულებების მოსამსახურეთა საერთო რიცხვიდან შტატის შემცირების გამო დათხოვნილ უნდა იქნეს 234 კაცი. სახალხო განათლების განყოფილებები გადაცემული იქნებიან სამაზრო აღმასკომებისათვის. განზრახულია მაზრებში დახურულ იქნეს ის სკოლები, რომელნიც ცუდად არიან მოწყობილი და სუსტი პერსონალი ჰყავთ.

სამასწავლებლო კურსები.

სოხუმი. 19 ივნისი. მასწავლებელთა მომზადებისა და მათი გონებრივი დონის ასამაღლებლად, 20 ივნისს იხსნება სამასწავლებლო კურსები. კურსები განზრახულია 150 კაცისათვის, რომელთაგან მაზრები იძლევიან 50. კურსის გავლის ვადა—თვენახევრიანი.

სამკურნალო საქმე.

სოხუმი. 18 ივნისი. აფხაზეთის სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ აპრილ—მაის—ივნისისათვის გამოთხოვნილ 16 მილიარდ მანეთიდან მედიკამენტების შესაძენად მიღებულია მხოლოდ 2 ნახ. მილიარდი, რომლითაც უნდა დაიფაროს აგრეთვე ხარჯები ცენტრალურ სამალიარიო სადგურისაც. მალიარიასთან ბრძოლის საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ ამ საკითხის შესახებ თანხმობით ვერ მოქმედობენ საკურორტო სამმართველო და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი. ენერგიულ ბრძოლას მალიარიის წინააღმდეგ აწარმოებს საოლქო კომიტეტი, რომელმაც შექმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც მოიწვია ტექნიკური ძალები.

აზერბეიჯანი

ამხ. ზინოვიევის წერილი.

ბაქო. 19 ივნისი. შუშეულობის ქარხნების—„წითელი აზერბეიჯანის" და „ოქტომბრის რევოლიუციის" მუშებმა მიიღეს ამხ. ზინოვიევისაგან წერილი, რომელშიაც ის მადლობას უძღვნის მათ შუშის უფროს მკეთებლად არჩევისათვის. ამხ. ზინოვიევი სარგებლობს შემთხვევით, რათა ერთხელ კიდევ დაამტკიცოს ჩვენი მტრების იმედების გაცრუება კომპარტიისაგან უპარტიო მუშების ჩამოშორებაში.

თესვის კამპანია.

ნახიჩევანი. 19 ივნისი. ქერის მკა ნახიჩევანის რაიონში დაიწყო. მოსავალი საშუალოა. დათესილ ქერის სივრცე წელს აღემატება ომამდი არსებულ სივრცეს, შარშანდელ დათესილ სივრცეს კი აღემატება 50 პროცენტით. ბამბა დათესილია სულ 6000 ფუთი.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 19 ივნისი. 14—15 ივნისს ამოღებულია ყველა სამრეწველოებში 1231 ათასი ფუთი ნავთი. აღებულია გადასაქაჩავათ 836 ათასი ფუთი. მიღებულია გადაქაჩვისაგან 825 ათასი ფუთი. გაწმენდილია 144 ათასი ფუთი. ბურღვაზე მუშაობდა 169 მანქანა. გაბურღულია 171 საჟენი.

„აზნეფტის" ხამაისო პროგრამა.

ბაქო 19 ივნისი. მაისში „აზნეფტის" ყველა ქარხნებში დამუშავებულია 10,710, 756 ფუთი გაუწმენდელი ნავთი, რაც შეადგენს პროგრამის 75,6 პროცენტს. საშუალოდ დღე და ღამეში ხდებოდა 345,508 ფუთის ამოღება. გაქაჩვის შედეგები ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში უცვლელია.

ბრძოლა წყალდიდობასთან

ბაქო. 19 ივნისი. დაწყებულია ბრძოლა მოსალოდნელ წყალდიდობასთან [illegible] მაზრაში. [illegible] მარალ-შიხაჩის მთელ ხაზზე სწარმოებს მუშაობა წყალდიდობის წინააღმდეგ.

სავარჯიშო მუშაობა ტყეში.

ბაქო. 17 ივნისი. განჯის მაზრის ტყეებში გაემგზავრნენ აზერბეიჯანის პოლიტეხნიკუმის მესამე კურსის ყველა მოსწავლენი, რიცხვით 35 კაცი. აქ აწარმოებენ სავარჯიშო მუშაობას და ლექციების მოსმენით ადგილობრივ გაეცნობიან სატყეო მეურნეობის ფირმებსა და სისტემას.

დაზღვევა.

ბაქო. 17 ივნისი. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო შეუდგა შენობების შეფასებას კერძო პირებისა, ამხანაგობებისა, საზოგადოებათა, არტელებისა, კომუნებისა და სხვა კოლექტივებისა; სავალდებულოა რომ ყველა ეს სახლები დაიზღვეს. სამმართველო არკვევს დასაზღვევ გადასახადის რაოდენობას.

მუშათა ქარხნის ლაბორატორია.

ბაქო. 17 ივნისი. ოთხი თვის სამზადისის შემდეგ შავქალაქის ნაწილში გაიხსნა მუშათა ქარხნის ლაბორატორია.

სომხეთი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ერევანი. 19 ივნისი. ამიერ-კავკასიის მომარაგების სახალხო კომიტეტის რწმუნებულის ცნობებით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის წინასწარი მუშაობა უკვე მოთავდა: კარაკლისის, დარალაგეზის, ახალ-ბაიაზეთის, დილიჟანის და ერევნის მაზრებში. დანარჩენ მაზრებში ორგანიზაციული მუშაობა გრძელდება.

პოლიტ.-განათლების სასკოლო განყოფილებაში.

ერევანი. 19 ივნისი. პოლიტ.-განათლების სასკოლო განყოფილებაში მოიწვიეს სანიმუშო გაკვეთილები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა ახალის მეთოდებით.

განყოფილებამ ცვლილებანი შეიტანა წერა-კითხვის უცოდინარ მოზრდილთა სკოლების პროგრამაში.

სახელმწიფო გამომცემლობა.

ერევანი. 19 ივნისი. სახელმწიფო გამომცემლობამ დაადგინა გამოსცეს 38 ახალი წიგნი, მათ შორის 8 პოლიტიკური, 17 სახელმძღვანელო, 6 საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო და სამეცნიერო და 6 სხვა.

სასკოლო აღმშენებლობა.

ერევანი. 19 ივნისი. ბაშგარანში დაასრულეს სკოლის ახალი შენობა. სამოსწავლო საქმის აღმასრულებელმა კომიტეტმა საამშენებლო მასალა მისცა ართიკის სკოლის ასაგებად.

გუმბრის შემოსავალი.

გუმბრი. 19 ივნისი. ფინანსიურმა განყოფილებამ გუმბრიდან მიიღო მაისის განმავლობაში 10,938 მილ. მანეთი; მათ შორის სამოქალაქო გადასახადის — 1762 მილ. მან. საბაჟო გადასახადისა—670 მილ. მან. სასურსათო გარდასახადისა — 3140 მილ. მან. ბანდეროლებისა—1911 მილ. მან.

კომუნისტური უჯრედების მუშაობა.

ერევანი. 19 ივნისი. დარალაგეზის მაზრაში მოხდა კომუნისტური უჯრედების მდივანთა თათბირი, რომელმაც განიხილა ყოველნაირი მოღვაწეობის საკითხები.

პარტიული ცხოვრება

ა. კ. ქ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტის მუშაობა მაისში

ორგანიზაციული მუშაობა. კავშირის გავლენა და ავტორიტეტი თან და თან ფართოვდება. მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა სავსებით კავშირის გავლენის ქვეშ იმყოფება. საუკეთესო ნაწილი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისა, დაინტერესებული პოლიტიკური ცხოვრებით, იკრიბება კავშირის გარშემო. მაგალითად: ტყიბულის მაღაროს—ახალგ. მუშების საუკეთესო ნაწილი იმყოფება ტყიბულის მაღაროს უჯრედში. სამტრედიაში ლიანდაგის და დეპოს მუშა ახალგაზრდების აქტიური ელემენტები შეკავშირებულია სამტრედიის რკინის გზის უჯრედში, დანარჩენები იმყოფებიან მის გავლენის ქვეშ.

ქუთაისის რკინის გზის მუშა-ახალგაზრდობა ქუთ. რკ. გზის უჯრედში, სტამბის მუშა—ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი იმყოფება კომკავშირში, ელექტრონის სადგურში მუშა-ახალგაზრდობა ცოტაა, მაგრამ რაც არის, მათი უდიდესი პროცენტი კი ჩვენ კავშირშია. კერძო წვრილ წარმოებებში მომუშავე მუშა ახალგაზრდობისათვის დაარსებულია ცალკე უჯრედი. სოფლის უჯრედები კი შესდგება რევოლიუციონურ ულარიბეს გლეხურ ახალგაზრდობისაგან. შევარდენის ნანგრევებზე აღმოცენებული „სპარტაკი" თან და თან ფართოვდება ქუთაისში და ჭიხაიში, დანარჩენ რაიონულ ცენტრებშიც არის „სპარტაკის" დაარსების მოთხოვნილება მაგ. ხონში და სამტრედიაში. მოსწავლე ახალგაზრდობის კავშირისადმი განწყობილება თან და თან უმჯობესდება. მოწაფეობა, რომელთა პოლიტიკური ფიზიონომია აქამდის გამოურკვეველი იყო და ანტი-კომუნისტურად იყვნენ განწყობილნი, დღეს ეტყობათ გარდატეხა. მოწაფეთა უღარიბესი შემადგენლობა კავშირისაკენ ილტვის. ანტი-რელიგიურ კამპანიაში კავშირი პარტიასთან ერთად იღებს მხურვალე მონაწილეობას.

კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებსა და პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებს შორის მჭიდრო კავშირია, დაცულია ურთიერთ წარმომადგენლობის სისტემა, კავშირის მასა მჭიდროთ არის შეკავშირებული, პარტიულ ხელმძღვანელი ორგანოები კავშირს უწევენ იდეურ ხელმძღვანელობას და მატერიალურ დახმარებას.

უპარტიო ახალგაზრდათა შორის მუშაობა სწარმოებს მუშათა ზოგიერთ ძლიერ უჯრედის მიერ, იწვევა ღია იაჩეიკების კრებები, უპარტიონი შედიან პოლიტიკურ წრეებში. მუშა ახალგაზრდების სკოლებში შეკავშირებულ უპარტიო ახალგაზრდათა შორის სწარმოებს მუშაობა. ყოველი კამპანიები ფართო ხასიათით ტარდება უპარტიო ახალგაზრდობის მონაწილეობით.

სოფლად სამუშაო ძალების მოსამზადებლათ კავშირს გაგზავნილი ჰყავს ა. კ. ქ. სოფლის უჯრედის წევრები ქუთაისის პარტიულ სკოლაში, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ შესძლებენ თემის და უჯრედის მასშტაბში პარტიულ მუშაობის წარმოებას.

საანგარიშო თვის პირველ რიცხვებში დამთავრდა აღწერა. აღწერის დროს კავშირიდან გამორიცხულია—39 კაცი, სულ ქუთაისის მაზრის ორგანიზაციაში დარჩა—830 კაცი, მათ შორის კანდიდატია—145, საშუალო ცოდნის 203, დაბალი ცოდნის 627. სრული პროლეტარი 26, ღარიბი 750, საშუალო შეძლებულ ოჯახიდან გამოსული 54. აღწერის დამთავრების შემდეგ განსაკუთრებულ რაზმის „ჩონის" შტაბს გადაეგზავნა მაზრის ორგანიზაციის წევრთა სია 17 წლ. ზევით, რომელიც გადიან სამხედრო ვარჯიშობას კომრაზმში.

მუშა ახალგაზრდობის შრომის და განათლების დაცვის დარგში სამაზრო კომიტეტი აწარმოებს ენერგიულ მუშაობას. სამაზრო კომიტეტს ჰყავს წარმომადგენლები პოლიტ-ბიუროში და დამზღვევ კასაში წარმომადგენლების მიერ ისმება საკითხები მუშა-ახალგაზრდობის შრომის დაცვის, მათი ტარიფის, დაზღვევის და უმუშევართა მდგომარეობის შესახებ. კავშირს ბრძოლა უხდება შრომის განყოფილებასთან, ნოქარ-შეგირდების შრომის დაცვის გამო. საწარმოო დარგებში 4 და 6 საათის სამუშაო დღე გატარებულია.

შრომის განყოფილების, პროფბიურო და კომკავშირის ინიციატორობით იხსნება უმუშევარ ახალგაზრ. სახლი, სახლის გახსნა ჯერ არ არის საკმაოთ მოწესრიგებული (სწარმოებს მუშაობა) მუშა-ახალგაზრდობისათვის გახსნილია სკოლები რაიონულ ცენტრებში.

საანგარიშო თვეში კომკავშირს და პოლიტგანათლების მიერ გაიგზავნა კომისია ტყიბულის სკოლის გამოსაკვლევად, კომისიის მიერ სკოლის მეორე ჯგუფი, რომელსაც წერა-კითხვა კარგად ქონდა შესწავლილი, იქნა გაშვებული, მათ შორის მომავალში იწარმოებს მხოლოდ პოლიტიკური აღმზრდელობითი მუშაობა. სამაზრო კომიტეტის და პოლიტ-განათლების მიერ მიღებულია ზომები ამ სკოლის მეცადინეობის გაგრძელებისათვის.

სააგიტაციო-საპროპაგანდო დარგში. ამ დარგში აღსანიშნავია, რომ თანდათან მრავლდება პოლიტ-წრეები, რომლებშიაც ამ ჟამად ირიცხება თითქმის 80 პროც. კავშირის წევრებისა. პირველ საფეხურის პოლიტ-წრეებმა უკვე დაამთავრეს პროგრამა. დღეს უკვე პოლიტწრეები გადადის მეორე საფეხურზე სადაც მეცადინეობა სწარმოებს პოლიტიკურ ეკონომიაში ს. წილუკიძის (ნაწყვეტები). პირველი საფეხურის წრეში გადიან „კოვალენკოს", „პოლიტიკურ ანბანს" მეორე საფეხურში კი „პოლიტიკურ ეკონომიას". ამ გვარად პოლიტ-წრების გამრავლებამ მეტად ასწია კავშირის მასის განვითარების დონე, იმ მიზნით, რომ კავშირის ხელმძღვანელი კადრი აღიზარდოთ მარქსისტულად. მაზრაში დაარსებულია—4 მარქს. წრე, რომელშიაც ირიცხება 35 წევრი მეცადინეობას ხელმძღვანელობს კავშირის მომზადებული ამხანაგები.

კულტურული მუშაობის საწარმოებლად, არსებობს როგორც კომიტეტში ისე ზოგიერთ უჯრედთან დრამატიული წრეები და მუსიკალური წრე. კავშირი შეუდგა ზოგ ადგილზე ჩამორთმეული იკლესიების კლუბებად გადაკეთებას, რამოდენიმე ეკლესია უკვე გადაკეთებულია კლუბათ.

ანტირელიგიური პროპაგანდის საწარმოებლათ საანგარიშო თვეში გავრცელებულია მაზრაში შედარებით საკმარისი ლიტერატურა.

ჟურნალ-გაზეთების მიწოდება მოწესრიგებულია, შემოღებულია და ტარდება ცხოვრებაში კულტურული მუშაობა ქალაქის იაჩეიკების სოფლის იაჩეიკებზე. საანგარიშო თვეში მოხდა პირველი გამოშვება ტყიბულის უპარტიო ახალგაზრდობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლის მოწაფეების. გამოირკვა, რომ სკოლას ნაყოფიერად უმუშავნია. მასწავლებელთა პერსონალს და საუკეთესო მოწაფეებს მიეცათ საჩუქარი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კომკავშირის მუშაობა თანდათან ნაყოფიერდება და ფართოვდება.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(20 ივნისი)

ჩერვონცები —13,900 ათასი.
გირვან. სტერ. ეფექტ.—15,050 ათ.
„ ჩეკები—13 000
დოლარები — ეფექტ.—3.500
„ ჩეკები—3.150
ოსმალ. ქაღალ. ლირა —2.285
იტალიანური ლირა — 115
ფრანკ ფრანგული — 170
საბჭ. ფულ. ნიშნები — 20

მუშკოპის ფასები

(20 ივნისი)

თეთრი პური—60 ათასი, 2 ხარის. —45 ათ., თეთრი ფქვილი—100 ათ. გირვანქა, საპონი „ტოლე"—300 ათ. რონტოვის საპონი—360 ათასი, ძველი ლობიო—20—35 ათასი, ბრინჯი—140 ათასი.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(20 ივნისი)

იწევს ჩერვონცების კურსი.

თბილისის ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(20 ივნისი)

საპნის ტრესტის პროდუქტები, მზის უმზირას ზეთი სომხეთის ს. მ. უ. ს. ქარხნების კონიაკი, ყუბანის ხორბალი, შვრია, ფეხსაცმელები პეტროგრადის ფეხსაცმელების ტრესტის, მარილი, ლორის თაფლი, ტომრები, მაკარონი 1-ლი და 2-რე ხარისხის, წუწუმა რუსეთის, რუსეთის ტყავეულობის სინდიკატის ფაბრიკატები, ფქვილი ამერიკული, მედიკამენტები, ჩაი, რკინეული, ცემენტი, ფანჯრის მინები, ბოთლები, სოდა კაუსტიური, გოგირდი.

თბილისის ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(20 ივნისი)

ცემენტი, მარილი, შაქარი სხვა და სხვა ხარისხის, ფანჯრის მინები, ყუბანის ფქვილი, ბრეზენტი, მავთული № 14, ტყავეული ნედლი, პურის სპირტი, რუსეთის მანუფაქტურა, ნაწლევები, მედიკამენტები, მატყლი თუშური-ლეკური-ფასანაურის, შაბიამანი, თამბაქო, სამკურნალო მცენარეები.

ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზარზე მდგომარეობა უცვლელია.

გორის ძეხვების ქარხანა.

მუშაობა გორის ძეხვების ქარხნის შესაკეთებლად თავდება. მთავარი კორპუსის შენობა შესდგება რამოდენიმე განყოფილებისაგან, რომლებშიაც სწარმოებს მუშაობა ნაწლავების დასაწმენდათ, დასახარისხებლად, გასანეჯავად და სხვა. მოწყობილია ცალკე თუნუქის განყოფილება, რომელიც წარმოადგენს კარგად მოწყობილ სახელოსნოს, სადაც ყოველ დღე მზადდება 2 ათასამდე კოლოფი. შემდეგ არის საშრობი განყოფილება, სადაც გაშრობა ხდება განსაკუთრებულ საშრობებში, რომელიც შეძენილია ქარხნის გამგის ამხ. მერიტაშვილის მიერ.

წყალს ქარხანა იღებს მექანიკურად ქარხნის მთავარ კორპუსში მოწყობილ წყაროდან.

ქარხნის პროდუქცია წარსულ წელს იყო უმნიშვნელო—სეზონში—1,500 ფუთი.

მიმდინარე წელს კი, ქარხნის გაუმჯობესების შემდეგ მუშაობა იწარმოებს არა მარტო ხილების სეზონში, არამედ აგრეთვე ზამთრობითაც, როდესაც დაიწყება ხორცის ძეხვების დამზადება; უკანასკნელის გამოშვება განზრახულია 500 ათასი კოლოფის რაოდენობით, სულ კი დამზადებული უნდა იქნეს საკვები პროდუქტი 25 ათას ფუთამდე.

მეღვინეობის კომიტეტი საქართველოში.

საქართველოს მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა დებულება მეღვინეობის ცენტრალური კომიტეტის შესახებ. კომიტეტის მიზანია მევენახეებისათვის იარაღების, აპარატების, მანქანების, საწამლო მასალების მიწოდება; სანიმუშო სადგურების მუშაობის მომარაგება, ვენახების ნამყენების, ლაბორატორიების და სხვ. გაუმჯობესება, შემუშავება ახალი კანონპროექტების მევენახეობის და მეღვინეობის შესახებ, იმ საკითხების მოგვარება, რომლებიც შეეხებიან ყურძნის ღვინის შემადგენლობას, თვალყურის დევნებას მის დამზადებაზე, დაზიდვის, ფრახტს და სხვ.

კომიტეტის შემადგენლობაში შედიან ყველა სასოფლო სამეურნეო, სახელმწიფო დაწესებულებების და აგრეთვე ყველა იმ უწყებების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული არიან მეღვინეობის და მევენახეობის განვითარებით.

საქართველოს მეცნიერულ და ტექნიკურ ძალთა ცენტრალურ ბიუროში.

მეცნიერულ და ტექნიკურ ძალთა ცენტრალურ ბიუროს პლენუმზე ირჩეოდა საკითხი სამოქალაქო აღმშენებლობის შესახებ.

მიიღეს დადგენილება, რათა დაარსდეს სახელმწიფო საამშენებლო კანტორა, რომლის მიზანი იქნება ბრძოლა მოიჯარადრობასთან. ამას გარდა საჭიროდ არის ცნობილი დაარსდეს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან განსაკუთრებული საამშენებლო-ტექნიკური კომიტეტი, რომელშიაც გაერთიანებული იქნება მეთვალყურეობა ქალაქის აღმშენებლობაზე როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში.

გლაუბერის მარილის მუხროვანის სარეწავები.

გლაუბერის მარილის მუხროვანის სარეწავების (გარე-კახეთში) მოწყობისათვის წარმოებული მუშაობა დასასრულს უახლოვდება.

მიწისა და სადურგლო სამუშაოები და აგრეთვე წყალსადენის ხაზის რემონტი უკვე დამთავრებულია. იდგმება ორთქლის ქვაბი და მუშაობა სწარმოებს სხვა მანქანების რემონტისათვის, რომელნიც საჭიროა ქარხნის ასამუშავებლად.

თამბაქოს ტრესტში.

(მოღვაწეობის მიმოხილვა 1923 წ. მაისის განმავლობაში)

თამბაქოს ტრესტის გამგებლობაში არის 8 თამბაქოს ფაბრიკა, რომელთაგან 6 თბილისშია, 1 ბათომში და ერთი ქუთაისში; ამას გარდა ტრესტში შედიან კიდევ ერთი კოლოფების დამზადებელი ფაბრიკა, ერთი ასანთისა და ერთიც ფაბრიკა „ბავშვთა საზრდოება".

მაისის დასასრულისათვის ყველა დასახელებულ ფაბრიკებზე შტატის მიხედვით ირიცხებოდა 1293 კაცი რომელთაგან მწარმოებელი მუშები შეადგენდენ 1010, არა მწარმოებელი 157, კანტორის მოსამსახურეები 110 და ადმინისტრაცია—16. საანგარიშო თვის განმავლობაში №№ 1, 2, 3, 4 და 5 ფაბრიკების მიერ დამზადებულია 56.136 300 ცალი პაპიროსი, 1-ლ მაისისათვის დარჩენილი იყო 55.657.790 ცალი. მაისში განაღდებული იყო 11.209 920 ცალი და ამრიგად 1-ლ ივნისისათვის დარჩა 100.584.170 ცალი.

განაღდებულ 11.209.920 ცალიდან ტრესტის საკუთარ წარმოებებს და სახელმწიფო დაწესებულებებს მიეცა 5.662 525 ცალი, ე. ი. 50,5 პროცენტი, კერძო პირებს კი 5.470.395 ცალი, ანდა 49,5 პროც. მთელი რაოდენობისა.

ამავე დროის განმავლობაში დამზადებულია 73 940 გირვანქა თამბაქო; 1-ლ მაისისათვის დარჩენილი იყო გაუნაღდებელი 49.966 გირ.; მაისის განმავლობაში გაცემულია 18.400 გირ. და ამ რიგად 1-ლ ივნისისათვის დარჩა სულ 105 506 გირ. თამბაქო. განაღდებულ 18 400 გირ თამბაქოდან ტრესტის საკუთარ წარმოებებს და სახელმწიფო დაწესებულებებს მიეცა 12.013 გ. (65,3 პროც.) და კერძო პირებს 6.387 გ. (34,7 პროც.).

თამბაქოს ტრესტის განაღდებულ პროდუქციის შედარებით მცირე რაოდენობა აიხსნება რ. ს. ფ. ს. რ. ტრესტების კონკურენციით, რომელნიც თავის ნაწარმოებებს უფრო დაკლებულ ფასებში ყიდიან და სხვა და სხვა შეღავათებს აძლევენ მყიდველებს.

ს. მ. უ. ს. სათბობი მასალის განყოფილებაში

(მუშაობის მიმოხილვა 1923 წლის მაისის განმავლობაში)

სამრეწველო დაწესებულებანი, რომლებიც შედიან სათბობი მასალის განყოფილებაში, მაისის განმავლობაში გაფართოვებულ იქნენ მით, რომ მათ შეუერთეს ტყვიბულის ქვა-ნახშირის მაღაროები, ცეცხლის მძლე ნაწარმოებთა ქარხანა „შრომა" და ძირულის თიხის მაღაროები. მხოლოდ ეს წარმოებები მუშაობენ ამ ჟამად. დანარჩენები კი უმოქმედოდ არიან დარჩენილნი. განყოფილების სავაჭრო წარმოებაში თბილისში მოიპოვება 5 საწყობი ნავთის, 10 დუქანი ნავთის და საწყობი მაგარი სათბობი მასალების. პროვინციებში არის 5 განყოფილება—აჭარის, ქუთაისის, თბილის-დუშეთის, ბორჯომის და სიღნახის საანგარიშო თვის განმავლობაში „აზნეფტიდან" მიღებულ ნავთის პროდუქტების რაოდენობა უდრის 134.620 ფუთს, ხოლო წინანდელ თვეში უდრიდა 10923 ფუთს. განაწილებულია ნავთის პროდუქტი მაისში—112,547 ფუთი, 6 ათასი ფუთით მეტი, ვინემ აპრილში—აღნიშნულ რაოდენობიდან მიიღეს: წყლის და განათების ჯგუფმა—40,022 ფ., სახელმწიფო მრეწველობის ჯგუფმა—19.879 ფუთი, სახელმწიფო ვაჭრობას—14,3222 ფ., სახელმწიფო ტრანსპორტის ჯგუფმა—12,715 ფ., სამხედრო უწყებებმა —1229 ფ.. სამკურნალო, სამოსწავლო და სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებმა—7740 ფ., და დასასრულ კერძო წარმოებათა და პირთა ჯგუფმა —16,640 ფ.

ყურადღებას იპყრობს სახელმწიფო ვაჭრობის ჯგუფი, რომელმაც მიიღო მარტის განმავლობაში 21,155 ფუთი, აპრილში 20,638, ხოლო მაისში 14,322 ფუთი. ეს მოვლენა აიხსნება ერთის მხრივ მარტის სეზონის გავლენით, ხოლო მეორე მხრივ—სათბობი მასალის განყოფილებების ცეკავშირისათვის გადაცემით. სავაჭრო სეზონის დროს სათბობი მასალის განყოფილება ხსნის კოჯორში, წყნეთში და მცხეთაში დროებით საგენტოებს.

სასოფლო მეურნეობა

ნათესების მდგომარეობა თბილისის მაზრაში.

დამახასიათებელ მოვლენათ ამ წლის თბილისის მაზრაში უნდა ჩაითვალოს გვალვები, რომლებმაც საგრძნობლად დასწიეს მოსავალი, იმოდენად, რომ ზოგიერთი სოფლებში მდგომარეობა კატასტროფიული. განსაკუთრებით დაზარალდნენ შემოდგომის ნათესები, და თუ მივიღებთ მხედველობაში რომ 75 პროც. ყველა ნათესებისა თბილისის მაზრაში ეკუთვნის შემოდგომის ნათესებს, მაშინ ცხადი იქნება, თუ რა გასაჭირი მოელის ჩვენი სოფლის მეურნეობას...

გვალვისაგან გადარჩენილ რაიონებს არ ასცდა სეტყვა. კერძოთ მანგლისის ნახევარი რაიონი მთლად დაისეტყვა და განადგურდა, პრიუტის რაიონში სეტყვისაგან განადგურდა 424 დესეტინა მიწა.

გვალვისაგან დაზარალდა განსაკუთრებით შემდეგი თემები: ასურეთის 9 სოფელი, წალკის რაიონში—7 სოფელი, წყნეთის, დიღმის, აველის, ნორიოს და მარტყოფისა, ყველა ამ თემებში მოსავალი დაცემულია 60 პროც.-ით.

უკანასკნელმა წვიმებმა ცოტათ თუ ბევრად გამოაკეთეს გაზაფხულის ნათესები, მხოლოდ შემოდგომის ნათესებისათვის ეს წვიმები უკვე დაგვიანებული იყო.

ბ.

წითელ ჯარში

საღამო-წარმოდგენა.

შაბათს, 16 ივნისს, ცენტრარმკლუბში გაიმართა საყურადღებო საღამო, რომელსაც დაესწრო აუარებელი წითელ არმიელი თავის პოლიტ. და უფშემადგენლობით. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე გააკეთა ამხ. ლეო ჩანტლაძემ, რომელმაც დამსწრეთ მარტივად გააცნო კაპიტალისტების ბოროტგანზრახვები. შემდეგ გაიმართა წარმოდგენა წითელ არმიელთა მონაწილეობით; წარმოადგინეს რევოლიუციონური პიესები „პარიზის კომუნის უკანასკნელი დღე" და „სურათი სოფლათ".

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ლექსთა თქმა. წაკითხული იქნა საკუთარი ლექსებიც წ. არმ. მიერ. წითელ არმიელნი დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ. საჭიროა ამნაირი წარმოდგენები ხშირად იმართებოდეს.

კ ი ნ ო.

კლუბთან მოწყობილია კინო. ყოველ დღე ჯარის ნაწილებში იგზავნება 200-მდე უფასო ბილეთი კინოზე დასასწრებლათ.

სამკითხველო.

კლუბთან მოწყობილია უკვე ორი სამკითხველო: ერთი საზაფხულო შენობაში და მეორეც საზამთროში. ადგილობრივი გაზეთები თითქმის ყველა მოდის, მხოლოდ ცენტრალური გაზეთები ცოტა ნაკლებია. წარსულ თვეს წიგნთსაცავში იყო ჩაწერილი 340 მკითხველი. ამ რიცხვიდან 90 მდე წითელ არმიელი, დანარჩენი უფშემადგენლობა და სხ.

ხმამაღლა კითხვები.

სამკითხველოსთან მოწყობილია ხმა-მაღლა კითხვები, რომლებზედაც წითელ არმიელნი დიდი ხალისით ესწრებიან და უსმენენ საყურადღებო კითხვებს. კლუბის გახსნისას ამხ. მამულაიშვილმა მოაწყო ქართულ ენაზე ხმა მაღლა კითხვა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია ახალგაზრდა არმიელებში.

წით. არმ. შემოქმედება.

მოკლე ხანში გამოვა ამხ. ხიხაძის ხელმძღვანელობით ლიტერ. პოლიტიკური ჟურნალი „წინ" წითელ არმიელთა მონაწილეობით.

პროფკავშირებში

განათლების მუშაკთა კავშირში.

განათლების სახ. კომისარის მოხსენება.

განათლების მუშაკთა კავშირის გაფართოვებულ პლენუმის სხდომაზე, განათლების სახ. კომისარმა ამხ. კანდელაკმა გააკეთა მოხსენება. მომხსენებელი შეეხო მასწავლებელთა მდგომარეობას და სთქვა, რომ განათლების კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მთელი პედაგოგიური პერსონალი გადაიყვანოს სახელმწიფო მომარაგებაზე. მიღებულია აგრეთვე ზომები ჯამაგირების დროზე დასარიგებლად. განათლების კომისარიატმა ამას გარდა გააუმჯობესა მეცნიერულ შრომის მუშაკთა ნივთიერი მდგომარეობაც.

სოციალური აღზრდა.

ამავე პლენუმზე სოციალურ აღზრდის შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ორახელაშვილმა; მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განზრახულია სოციალურ აღზრდის სისტემის შეცვლა, განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს ბავშვთა აღზრდას სკოლაში შესვლამდე - 4—7 წლის ჰასაკამდის. სწავლა-აღზრდის შესაფერ ნიადაგზე დასაყენებლად, მოხდება სრული გადახალისება ყველა საფეხურის სკოლისა. ამ მიზნით მუშავდება ახალი პროგრამა.

ბეჭდვითი სიტყვის სექცია.

ბეჭდვითი სიტყვის სექციის მოქმედების შესახებ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. გულიმიანი. მან აღნიშნა, რომ ერთ უმთავრეს ამოცანად სექციას მიაჩნდა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ხელფასის საკითხის გადაწყვეტა, რომლის გარშემოც იგი დიდხანს მუშაობდა და მიაღწია კიდეც სასურველ შედეგებს.

მოგზაურობა მოსკოვში.

პრეზიდიუმის ცდით მოეწყო მოგზაურობა მოსკოვში, ეს მოგზაურობა გამოწვეულია მოსკოვთან კავშირით და მის პედაგოგიურ პერსონალთან გაცნობის და დაახლოვებით მიზნით.

კომუნალურ მეურნეობის კავშირში.

(კულტგანყოფილების ანგარიში მარტის, აპრილის და მაისის განმავლობაში).

წერა-კითხვის უცოდინართა სკოლები.

კულტგანყოფილების მიერ მარტის, აპრილის და მაისის განმავლობაში წერა-კითხვის უცოდინართა სკოლები გახსნა 11. სკოლებში სწავლობდა 240 მეტი კაცი. 2 მათგანი გადაკეთდა პირველ საფეხურის სკოლებათ, 9 სკოლა კი დღემდის არსებობს და განაგრძობს მუშაობას.

სოციალური აღზრდა.

სოციალურ აღზრდის საქმე კავშირს ჯერ-ჯერობით ვერა აქვს მოწყობილი. თუმცა ამ მიზნისთვის კულტფონდიდან ყოველთვიურად იდება 85 საქონლის მანეთი.

მუშაობა ბავშვთა შორის.

კავშირი დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვთა აღზრდას. საანგარიშო თვეების განმავლობაში კულტგანყოფილების მიერ ბავშვთათვის გამართული იყო რამდენიმე საბავშვო წარმოდგენები და დარიგებულ იქნა საჩუქრები.

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობა ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ გააფართოვა კავშირმა საკლუბო მუშაობაში აღსანიშნავია ლექციების მოწყობა. საანგარიშო თვეებში მოეწყო ლექციები: სანიტგანყოფილებაზე და ანტი-სარწმუნოებრივ ხასიათის თემებზე. ამას გარდა დაიდგა 8 წარმოდგენა მუშებისათვის.

ამხ. ბესო მაისურაძის იუბილესათვის.

ამხანაგებო!

ქართველი საზოგადოება, განსაკუთრებით საქართველოს მუშა-მშრომელი ხალხი ამა 1923 წ. ივნისის 23-ს, შაბათს, საღამოს, რუსთაველის თეატრში არაჩვეულებრივი დღესასწაულის მონაწილე შეიქმნება.

იმართება იუბილე ბესო მაისურაძისა

ვინ არის ბესო მაისურაძე?

მუშა-მსახიობი—ხელობით ასოთ-ამწყობი, მოწოდებით ხალხურ წარმოდგენების მომწყობი.

ბესო მაისურაძეს კარგათ იცნობს თბილისის მშრომელი ხალხი.

ბესო მაისურაძემ ამ 30 წ. წინად დაიწყო სცენის წარმოდგენების მოწყობა მაშინ, როცა ამ საქმის ერთის მხრით თუ ნაკლები მიმდევარი ჰყავდა, მეორეს მხრივ—მთავრობა [illegible].

ბესო მაისურაძე სახალხო-ხალხურ თეატრის სცენაზე იყო ყველაფერი: ქალ-ვაჟთა როლების აღმასრულებელი, პარიკმახერი, ტანისამოსის მომზადებელი, რეჟისორი, ერთი სიტყვით წარმოდგენის სული და გული, მეეთქავი ძალა, როგორც ქართულ, ისე სომხურ სცენაზედაც.

ბესო მაისურაძე მუშაა იმ დარგისა, რომელიც საზოგადოების შეუნიშნავად სწავლა განათლებასა და მწიგნობრობას ემსახურება. ბესო მაისურაძე, როგორც ასოთ-ამწყობი 30 წ. განმავლობაში ძველებურ დახშულ სტამბაში სუნთქავდა [illegible], აზიანებდა ფილტვებს, სამაგიეროდ ხელს უწყობდა ხალხში ჭეშმარიტებისა და სინათლის მოფენას.

ბესო მაისურაძე ერთი იმათთაგანია, რომელთაც თვისი უანგარო, თავდადებული, ჩუმი მუშაობით საძირკველი ჩაუყარეს ხალხის გათვითცნობიერებას, მშრომელთა ხელისუფლების დამყარებას.

თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ ბესო მაისურაძე ერთადერთი მარჩენალი იყო და არის თავის მრავალრიცხოვან ოჯახის, დაუძლურებულ მშობლების და მიუხედავად ამისა, დღესაც ჭაბუკური ხალისით ემსახურება სცენას მხატვართა კლუბში, დავინახავთ, რომ [illegible] თვითსაჩინოა, პატივსაცემი [illegible].

ამიტომაც მისი მოღვაწეობის მადლიერმა მუშა ხალხმა გადასწყვიტა ამ ნამდვილ მუშა მსახიობის იუბილე გაუმართოს და რამდენიმე ნივთიერად უზრუნველყოს.

საიუბილეო წარმოდგენა-ზეიმი გაიმართება ა. წ. ივნისის 23, შაბათს საღამოს, რუსთაველის თეატრში, საღამოს 8 ნახ. საათზე.

შენიშვნა: ყოველნაირი წერილი, შემოწირულება და სხვ. უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: 1) სრულიად საქართველოს კავშირთა საბჭოში, მდივან. გ. **ყურულიშვილს** (მუშათა სასახლე), 2) საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე თ. **ნასიძეს** (ფოსტა-ტელეგრ. მთავარი სამმართველო, ან [illegible] მუშათა კლუბში), წარმოდგენა-ზეიმის საღამოს—რუსთაველის თეატრში—თ. ნასიძეს.

საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს პროფკავშირის საბჭოს მდივანი **გ. ყურულიშვილი**.

კომიტეტის თავმჯდომარე **თ. ნასიძე**.

მისი ამხანაგები **ზაქარია ჭიჭინაძე**. **იოსებ იმედაშვილი**.

წევრები: ა. სარუხანოვი, დ. მელაშვილი, ს. ლომთათიძე, მ. ჯანიევი, ა. დავიდოვი, რ. ფირუმოვი, ი. რევაზიშვილი, ბ. კირვალიძე, გ. პაპინაშვილი, ა. სარქისოვი, გ. შინატიხელი, შ. ნავთლუღელი, ა. არუშანოვი, გ. ჯაბაური, ალ. ბაჯიაშვილი, შ. ხატიაშვილი.

კომიტეტის მდივნები **ე. კულულაშვილი. ს. აუშტროვი.**

სამკითხველოების საქმე.

კომუნალურ მეურნეობის კავშირს მოწყობილი აქვს სამკითხველო და წიგნთსაცავი. სამკითხველოს მკითხველნი აღწევენ 220 კაცზე მეტს.

ფიზიკური კულტურა.

ფიზიკურ კულტურის დარგში დაარსებულია ჯერ-ჯერობით სპორტის წრე და გამოწერილია შესაფერისი წიგნები.

პოლიტმუშაობა.

პოლიტმუშაობა და პოლიტპროპაგანდა კარგათ არის დაყენებული. არსებობს 8 პოლიტწრეები, რომელნიც აწარმოებენ პოლიტმუშაობას.

მუშათა ცენტრალურ კლუბში

(კლუბის წევრთა რაოდენობა, მოკლე ცნობები 1923 წ. 1 იანვრიდან 1 ივნისამდე).

№№ რიგზე	კავშირის სახელწოდება	წევრთა რიცხვი	შრომის მხრით		სქესი		პარტიული მხ.		განათლების ცენზი		
			ფიზიკური	გონებრივი	მამაკ.	ქალი	პარტ.	უპარტ.	უმაღლეს	საშუალო	დაბალი
1	ფოსტა-ტელეგრ. კავ.	12	6	6	8	4	3	9	1	7	4
2	განათლების მუშაკთა	17	1	16	10	7	1	16	2	9	6
3	„უჩკპროფსოჟი"	136	93	43	120	16	44	92	69	48	14
4	ბეჭდვითი	14	12	2	13	1	3	11	7	3	—
5	ქიმიკოსთა	5	2	3	3	2	—	5	1	4	—
6	მკურნალთა	115	35	80	58	57	7	108	25	51	21
7	ხელოვნების მუშაკთა	10	5	5	7	3	2	8	3	7	—
8	ნარპიტი	5	4	1	3	2	—	5	3	2	—
9	შრომის ბირჟა	3	3	—	—	3	—	3	3	—	—
10	მელითონეთა	57	43	14	54	3	11	46	31	16	6
11	აღმშენებელთა	6	4	2	4	2	—	6	4	1	1
12	საქსოვ-მკერვალთა	12	12	—	4	8	—	12	9	2	—
13	ტრანსპორტის	9	8	1	9	—	2	7	1	3	5
14	კომუნალურ-მეურნეთა	30	23	7	27	3	9	21	13	15	2
15	მეტყავეთა	6	6	—	6	—	2	4	4	2	—
16	გემო-კვების	107	85	22	48	59	20	87	73	22	1
17	მილიცია	2	2	—	2	—	2	—	2	—	—
18	სავაჭრო-სამრეწველო	5	3	2	4	1	—	5	3	2	—
19	საბჭოთა მოსამსახურ.	66	25	41	46	20	12	54	22	39	5
20	მიწა-ტყის	5	4	1	5	—	1	4	2	2	—
21	ელექტრონის მომ.	3	2	1	3	—	2	1	3	—	—
22	წითელ არმიელთა	33	17	16	33	—	7	26	17	3	13
23	სხ. კავ	1	1	—	1	—	1	—	—	1	—
	ს უ ლ	659	369	263	468	191	129	530	296	256	65

მუშკორი ი. ელიაშვილი.

ქრონიკა

ა.-ქ. სახ. კომისართა საბჭოში

— **საღერბო ნიშნების გაყიდვის შესახებ.** სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი სასტუმრო დაწესებულებებში საღერბო ნიშნების გაყიდვის შესახებ.

— **საზღვარგარეთ სავაჭრო საქმეთა წარმომადგენლების შესახებ.** ამავე კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი საზღვარგარეთ სავაჭრო საქმეთა წარმომადგენლების მოვალეობის შესახებ.

— **შეფობა სოფელზე** მეორე რაიონის მეტყავეთა კავშირმა მიიღო კულტურული შეფობა სოფ. ატენზე (გორის მაზრა). შეფობის მიღების დღეს, ტფილისიდან აღნიშნულ სოფელში გაემგზავრა კავშირის 25 წარმომადგენელი. დღესასწაულმა ჩაიარა ბრწყინვალეთ.

— **გორის აღსადგენად** ა. ქ. კოოპ. ცენტრ. კავშირმა გორის აღმდგენ კომიტეტს გადასცა დიდძალი ხე-ტყის მასალა მიწის-ძვრისაგან დანგრეულ გორის აღსადგენად.

— **კოოპერატიული გამოფენა** ა. ქ. კოოპ ცენტრალურ კავშირის გამგეობამ წინადადებით მიმართა განყოფილებებს—მიიღონ მონაწილეობა ნიჟეგოროდის კოოპ. გამოფენაზე, რომელიც იმართება ივნისის დამლევს.

ქალაქის აღმასკომში

— ყინულის ქარხანა კომუნალურ განყოფილებამ შეაკეთა და დაამუშავა საყინულე ქარხანა, რომელიც დღე და ღამეში ამზადებს 450 ფ. ყინულს.

— **შუამდგომლობა.** აღიძრა შუამდგომლობა საკავშირო საბჭოს წინაშე, შიდაწვის ძრავებზე (двигатели внутреннего горения) გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **ტრამვაის ხაზის გაყვანა.** კომ. განყოფილება შეუდგა სასაკლაოსკენ ტრამვაის ხაზის გაყვანას. მუშაობა დასრულდება დაახლოვებით 1 ივლისამდე.

— **ტუმბოს შეძენა.** დაევალა კომ. განყოფილებას დაჩქარებით გამონახოს თანხა (1500 გირ. სტერლინგი) გერმანიაში წყლის საქაჩავ ტუმბოს (насос) შესაძენად.

— **სანიტარული გადასახადის გადიდება.** კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ სანიტარულ განყოფილების შუამდგომლობის თანახმად, დაადგინა გადიდებული იქნეს სანიტარული გადასახადი.

— **შუამდგომლობა.** სახ. სოც.-უზრუნველყოფის კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის აღმასკომის წინაშე მოხუცებულთა თავშესაფარის გასაფართოებლად ერთი სახლის, ან რომელიმე ყოფილ მონასტრის გადაცემის შესახებ.

განათლების კომისარიატში.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტში.** პროფ. განათლებისთავ [illegible]

მუშათა ცხოვრება

პატარა ფელეტონი
ინგლისური სიმღერა.

რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე!
ვის გაუწოდო ხელია,
ვსცადე ათასი ხრიკები,
ეხლა კი შემომელია.

მინდოდა სისხლით მომერწყო
მსოფლიოს მინდორ-ველია
მაგრამ არ გასჭრა, მგონია
ამალებინონ ხელია.

დიდ ბრიტანეთის მფლობელმა
ველარ გავშალე ხელია
და მგონი თავზე დამატყდეს
სულ ჩემი საქციელია.

რასაც მე ეხლა მკადრებენ,
ჩემს ყურებს არა სმენია,
შრომა ამარცხებს კაპიტალს,
განა ეს მოსათმენია!

შეირყა ჩემი სამყაროც,
გულზედ მედება გენია,
ველარ მიშველა წამალმა
მეც გადამედვა სენია.

რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე
ერთს რო მოვსჭერი თავია,
იქ ათმა ამოიყარა,
შემძულდა ჩემი მკლავია.

თითქმის სულყველგან გავაბი
მე ჩემიური ქსელია,
მაგრამ სუყველგან მუშებმა
ჩაფუშეს საძირკველია.

რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე,
რა დავსდვა ჩემს თავს წამალი,
მალე ჩემთანაც იყივლებს
კომუნისტური მამალი.

მუშ. ვასილ რიონიშვილი.

6 საბჭოთა ელექტრონის სადგურში.

ამ ელექტროსადგურის მუშები წარმოების საქმეს დიდის ინტერესით და ენერგიით ეკიდებიან.

მათ თავიანთი საკუთარი ძალით შეაძლეს სადგურის ზოგიერთ მანქანების შეკეთება, რომლებიც გაფუჭებული და წარმოებისათვის უვარგისი იყო.

ამ მხრით დიდი დამსახურება მიუძღვის აგრეთვე სადგურის მექანიკს. მუშები კმაყოფილი არიან თავის ნაყოფით, შრომის ხელფასით და მუშაობის პირობებით.

ჯამაგირებს მუშები თავის დროზე ღებულობენ. ისინი სარგებლობენ საჭიროების დაგვარად ავანსებითაც.

მხოლოდ ავანსად გატანილ ფულს ერთბაშად უქვითავენ მუშებს, რაც მათ ცუდ პირობებში აყენებს. ამიტომ კარგი იქნება, თუ მათ ავანსად გატანილი ფული თანდათანობით და ნაწილობრივ გამოექვითება.

ძალიან ცოტას ღებულობს სადგურის ერთი (ცოლშვილიანი) მოხუცებული მუშა. მას ეძლევა ჯამაგირი 3 ხარისხით, რაც სრულებით არ აკმაყოფილებს მის ოჯახურ მოთხოვნილებებს მინიმალურადაც მაინც. საჭიროა მას ჯამაგირი მიემატოს.

თვით სადგურში ძალიან ცუდია ჰიგიენური პირობები:

1) მუშებისათვის სადგურში არ არის მოწყობილი ხელსაბანი და მისი მოწყობილობა; 2) სადგურს არც ერთი ფანჯარა არ აქვს მთელი; 3) დიდი ხნის შეუკეთებლობის გამო სადგურის კედლები შიგნიდან ერთიანად გაშავებულია.

ეს დეფექტები აუცილებლად უნდა გამოსწორდეს ახლო მომავალში.

მასთან აქ არის ერთი წერა-კითხვის უცოდინარი მუშა და ერთიც ცოტათ მცოდნე და ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ადგილკომმა.

მუშკორი ჩხმელი.

„25 ოქტომბრის" სახელობის ასანთის ქარხანა.

ხსენებულ ქარხანაში თითქმის მთელი ა. წ. მაისის თვის განმავლობაში წარმოება შეწყვეტილი იყო ხე-ტყის მასალის უქონლობის გამო.

მცირე რაოდენობის მასალის მიღების შემდეგ, ივნისიდან, მუშაობა ისევ განახლებულია, თუმცა ამ მხრივ ქარხანა არც ახლაა უზრუნველყოფილი, რადგან ხე-ტყე სულ რამოდენიმე დღის საყოფია იმ დროს, როცა ყოველგვარი სხვა ნედლი მასალა ქარხანას ბლომად აქვს.

მუშაობის ნაყოფიერება მდგომარეობის შესაფერისია; ქარხანა ამზადებს დღეში, საშუალოდ, 11—12 ათას კოლოფ ასანთს. ნედლი მასალის სახმობილა ახლა კარგადაა მოწყობილი, რის გამო ცუდ ამინდებს არა აქვს არავითარი გავლენა ქარხნის მუშაობაზე.

ქარხანაში ორივე სქესის 55 მუშა და 6 თანამშრომელია. ხელფასი მათ კოლექტიური ხელშეკრულებით, თვეში ორჯერ, დაუგვიანებლათ და წესიერად ურიგდებათ. მუშის საშუალო ხელფასი მე-4—5 და მე 6-ე ხარისხით, 11—12 საქონლის მანეთს უდრის.

ადგილობრივი საქარხნო კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებელია ყოველ დარგში და მას მუშები ნდობით უყურებენ.

მუშკორი ხე—ძე.

მუშათა ქართული ფაკულტეტი.

ამ ფაკულტეტში მსმენელები დაყოფილი არიან ცხრა ჯგუფად. სულ აქ არის სამასამდე მოწაფე. ზოგნი პროვინციიდან არიან ჩამოსულნი, ზოგნი ადგილობრივი და ზოგიც რკინის გზიდან არიან გამოგზავნილნი. როგორც ადგილობრივ ღარიბებს მოწაფეებს, აგრეთვე ჩამოსულებს აქვთ მიჩენილი სახელმწიფო ბინა პლეხანოვის და ტატიანის ქუჩის კუთხეები. იმ შენობაში, სადაც აღნიშნული მოწაფეები სცხოვრობენ, არის 30 სუფთა, მშრალი საშუალო ზომის ოთახები. თითოში ცხოვრობს 3-4 მოწაფე. მოწაფეთა შორის არიან სტიპენდიანტებიც, რომელთაც ეძლევათ თვეში 12—15 მილიონი მან. ბინაზე მსმენელებს მოწყობილი აქვთ თავიანთი საკუთარი სასადილო. მოწაფენი იხდიან თვეში სასადილოსთვის მხოლოდ 4 მილიონს და სასადილოს ყველა დანარჩენი ხარჯები სახელმწიფოა. სასწავლებელში მსმენელებს მოწყობილი აქვთ თავიანთ საკუთარი ძალებისაგან შემდგარი დრამატიული, მხატვრული და სალიტერატურო წრეები და სასიმღერო გუნდი. საერთოდ მუშათა ფაკულტეტის მდგომარეობა ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

თბილისის ცენტროტრამოტაში

12 ივნისს შესდგა თბილისის „ცენტროტრამოტის" მუშათა საერთო კრება, სადაც საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლიახოვმა.

მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში საერთო კრება იწონებს და ესალმება საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ინგლისის პროვოკაციულ ნოტის წინააღმდეგ და გამოთქვამს სურვილს, პროლეტარიატის ერთიან ფრონტის ახლო მომავალში შექმნის შესახებ შეტევაზე გადმოსულ კაპიტალის წინააღმდეგ.

მუშკორი ძველთაგანი.

მუშათა ქრონიკა.

— **მუშკორების კრება.** მიმდინარე წლის 17 ივნისს ჩვენი რედაქციის ბინაზე შესდგა გაზ. „კომუნისტი"-ს თანამშრომელ მუშა კორესპონდენტების მორიგი კრება, სადაც ამხ. კვარაცხელიამ გააკეთა ფართე მოხსენება დუშეთის გლეხობის ხუთი წლის წინეთ აჯანყების და კომინტერნის აღმასკომის პლენუმის გახსნის შესახებ. მოხსენების შემდეგ კრების მიერ მოსმენილ და გარჩეულ იქნა ამხ. მუშკორების წერილები და ლექსები.

— **ელექტრო-სადგურის მუშებში.** ელექტრო-სადგურის მუშებმა ავადმყოფ მუშათა სასარგებლოდ გაიღეს რამოდენიმე პროცენტი თავის ჯამაგირებიდან.

— **მუშათა დასასვენებელ სახლებისათვის.** ამავე მუშებმა მუშათა დასასვენებელ სახლებისათვის გადასდვეს თავისი ნახევარი დღის ხელფასი.

ლობამ დაამტკიცა სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა—ქართული სიტყვიერების კათედრაზე მიხ. ზანდუკელის დატოვების შესახებ, საპროფესორო ხარისხის მისაღებად.

კრებები და მოხსენებები

— **ექიმების მოხსენება.** 22 ივნისს პარასკევს საღამოს 7 საათზე სანიტარულ განათლების სახლში (ევანგულოვის ქ. № 12) შესდგება ექიმ ვილის მოხსენება სრულიად რუსეთის მეშვიდე ბაქტერიოლოგთა, ეპიდემიოლოგთა და სანიტარულ ექიმთა ყრილობის შესახებ.

ორშაბათს 25 ივნისს იმავე ბინაზე შესდგება ექიმ ბერიძის მოხსენება სრულიად რუსეთის ვენეროლოგთა ყრილობის შესახებ. შესვლა უფასოა.

სხვა და სხვა.

— **დაკარგე დროებითი პარტიული ბილეთი № 1584.** ილია ბარამიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

ხელოვნება

ქართული თეატრის ბედი.

ქართული თეატრის საკითხი ყურადღების ცენტრია დღეს. ჯერ კიდევ შარშან მის გარშემო გაცხარებული კამათი იყო. ყველასთვის აშკარაა, რომ ქართული თეატრი კრიზისს განიცდის და საზოგადოების მთელი ყურადღება ამ კრიზისის გამოწვევ მიზეზების გამორკვევისა და მისი უმტკივნეულოდ გადაჭრის საშუალების გამოძებნისაკენ არის მიპყრობილი.

ეჭვს გარეშეა, რომ ქართული თეატრი დაცემულია, მაგრამ მისი კრიზისი არ არის სპეციალური ადგილობრივი ხასიათისა, არამედ მას უშუალო კავშირი აქვს იმ კრიზისთან, რომელსაც ამჟამად ყველა ქვეყნების თეატრები განიცდიან. ეს საერთო ხასიათის კრიზისი კი გამოწვეულია ცხოვრების იმ აჩქარებული ტემპით, რომელშიც ჩაბმულია დღეს მთელი კაპიტალისტური კაცობრიობა. მანქანებისა და ელექტრონის ეპოქა თავის შესაფერ თეატრს მოითხოვს და აკი შეიქმნა კიდეც ამერიკაში ასეთი თეატრი: იდეური მხარე აქ დაემორჩილა სანახაობას და თეატრი კინოს დაემსგავსა. შემოქმედებითი ელემენტის განდევნამ სცენიდან შექმნა თანამედროვე თეატრალურ ხელოვნების კრიზისი.

ასეთმა მდგომარეობამ, თავის თავად ცხადია, დაჰბადა სურვილი დაავადმყოფებულ თეატრის აღორძინებისა; თეატრალურ ხელოვნების ნოვატორთა ჯგუფში გაირჩევა ორი მიმართულება: ერთი, რომელიც გარეგნულ მხარეს აქცევს ყურადღებას და რომლის მუშაობის ქვაკუთხედი ფორმა და სანახაობაა მხოლოდ—და მეორე, რომელიც ფორმის განახლებასთან ერთად შინაარსსაც აქცევს ყურადღებას.

რა უშველის ქართულ თეატრს, რა წამალი უფრო გამოდგება მის გასაახლებლად და მისი მტკიცე საფუძველზე დასაყენებლად?—ეს იყო მიზანი ხელოვანთა კავშირის მიერ ხელოვანთა სასახლეში გამართულ საჯარო სხდომისა. მომავალ სეზონის საუშაო გეგმის შესახებ მოკლე ინფორმაცია გააკეთა კოტე მარჯანიშვილმა. მთავარი მისი ყურადღება მიქცეული არის მომავალ სეზონში „ვეფხვის ტყაოსნის" განსახიერებისაკენ. ამ მთავარ მიზნის გარდა მარჯანიშვილს განზრახვა აქვს ქართულ ორიგინალურ პიესებთან ერთად დადგას ქართულ სცენაზე გერმანელ ექსპრესიონისტების ახალი პიესებიც. განზრახულია მომავალ სეზონში დაიდგას 21 ახალი პიესა, რაც, როგორც ერთმა ორატორთაგანმა აღნიშნა კიდეც, ქართულ თეატრს ჯერ არ მოსწრებია. ჩვენ მხოლოდ გამარჯვება უნდა უსურვოთ მარჯანიშვილს, ამ საქმეში დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის შესძლებს ამ დაპირების ასრულებას. შემდეგი ორატორების თემის საგანი იყო ძიების თეატრი. ლეო ქიაჩელმა თავის მოხსენებაში ვრცლად დაახასიათა თანამედროვე თეატრის კრიზისის გამომწვევი მიზეზები და მოკლედ თეატრის ნოვატორთა მოღვაწეობასაც შეეხო. მან სათეატრო ხელოვნების განვითარებაში აღნიშნა რამდენიმე მომენტი და შემდეგ პარალელი გაატარა ევროპის თანამედროვე თეატრსა და ქართულ თეატრს შორის. მისი აზრით ქართულ თეატრს ჯერ არ გაუვლია ის სკოლა, რომელიც ევროპის თეატრებმა მე 19 საუკუნეში გაიარეს და ამიტომ მისი აზრით ქართული თეატრის განახლებაზე ლაპარაკი იმ ფორმებით, როგორც ეს დღეს ევროპაში ხდება, ჯერჯერობით ნაადრევია. პავლე იაშვილის აზრით ნამდვილ ხელოვანს არ შეუძლია კომპრომისებით სიარული; მისი აზრით შეუძლებელია ერთ და იმავე თეატრში იდგმებოდეს ერთის მხრივ „ლონდა" და ახალი მიმართულების მწერლების ნაწარმოებები და მეორეს მხრივ „მზის დაბნელება" და სხვა ასეთები, ეს უკვე კომპრომისია და ჭეშმარიტი ხელოვნება კომპრომისს ვერ ითმენსო; ის მოითხოვს უკომპრომისო თეატრის შექმნას, სადაც ადგილი არ ექნება შერეულ რეპერტუარს და ამაში ხედავს თეატრის ხსნას. მაგრამ ასეთი რეცეპტით მიდგომა ქართული თეატრისათვის, რა თქმა უნდა, ვერაფერ დადებითს მისცემს ჩვენს თეატრს, რადგან იქ (კ. მარჯანიშვილის სიტყვებით), სადაც არ მომხდარა თეატრალურ საზოგადოების დიფერენციაცია, აუცილებლად საჭიროა საზოგადოებისათვის ანგარიშის გაწევა და კომპრომისზე წასვლა. ლ. ანდრონიკაშვილი და გრ. რობაქიძე მოითხოვდენ ელინურ თეატრისაკენ დაბრუნებას, რადგან მათი აზრით ელინური კულტურა ევროპის დღევანდელი ცივილიზაციის ფუძეა და ქართული კულტურაც, კერძოდ თეატრალური ხელოვნება, იმ გზით უნდა წავიდეს, როგორითაც ევროპის კულტურა ვითარდებოდაო; გრ. რობაქიძის აზრით თეატრალური ხელოვნების აღორძინებას საფუძვლად უნდა დაედვას აგრეთვე რასიული პრინციპიც; საჭიროა ქართველი ერის ისტორიის გულში ჩახედვა, იქიდან ღირსშესანიშნავ მომენტების ამოღება და ამ ისტორიულ მასალაზე აგებულ დრამატიულ ნაწარმოებების სცენაზე გამოტანა.

ამგვარად მარჯანიშვილის შემდეგ გამოსული თვითეული ორატორი ქართული თეატრის განახლების შესახებ, შორეულგანყენებულ გეგმის ჩონჩხს იძლევა, მაგრამ კონკრეტიულად პრაქტიკული მუშაობის უახლოესი გეგმა არც ერთ მათგანს არ მოუცია.

რომელი გზა უფრო ხელსაყრელია ქართული თეატრის აღორძინებისათვის: ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი, ელინიზმი თუ სხვა რომელიმე ეროვნულ ისტორიულ ნიადაგზე შემდგარი მიმართულება?

ეს საკითხი ჯერ კიდევ მსჯელობის პროცესშია.

მეტად საინტერესო იქნებოდა, რომ ამ საკითხს შეეხებოდეს თვით კოტე მარჯანიშვილი: რაში ხედავს ის თეატრის ხსნას საერთოდ და ქართული თეატრისას კერძოდ.

დამსწრე.

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების გამოცემა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაჩქარებით გამოიცეს ეგნატე ნინოშვილის ყველა ნაწერები, რისთვისაც გადასდო საჭირო თანხა.

— **სალამო-სეირნობა წითელი ჯვარის სასარგებლოთ.** კვირას, 24 ივნისს, წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება დიდი სალამო-სეირნობა მრავალფეროვან გასართობებით, იქვე კაფე და პარკში გაიმართება კაბარე საღამოს 10 საათიდან.

— **მსახიობ მჭედლიშვილის წარმოდგენა.** კვირას, 24 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართება ძველი მსახიობის—მჭედლიშვილის წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „ქოროღლი".

კოოპერაცია

შორაპნის მაზრა.

შორაპნის მაზრის ზემო-იმერეთის მეფუტკრეთა კოოპერატიული საზოგადოების დაარსების ინიციატორთა ჯგუფის დროებით გამგეობამ, ამა წლის 10 ივნისს, დღით კვირას მოიწვია შორაპნის მაზრის ზემო იმერეთის მეფუტკრეთა კოოპერატიული საზოგადოების ყრილობა ქ. ზესტაფონში.

ყრილობას დაესწრო ს. ს. ს. რ. მიწად-მოქმედების სახკომის წარმომადგენელი, საქართველოს მეფუტკრეთა საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. პ. ლოლაძე და ცეკავშირის წარმომადგენელი—მიქელაშვილი.

ყრილობის მიზანი იყო: 1) ზემო-იმერეთის მეფუტკრეთა კოოპერატიული საზოგადოების სახელწოდებით „ფუტკარი და სკა"-ს დაარსება, 2) განხილვა საქართველოში მეფუტკრეობის მეურნეობის მდგომარეობისა, 3) ზემო-იმერეთის მეფუტკრეობის მდგომარეობა, 4) სახელოსნო ქარხნის და ბიუროს დაარსების შესახებ, და სხვა მიმდინარე კითხვები.

მისალმების მოსმენის შემდეგ საქართველოში მეფუტკრეობის მეურნეობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოდის ამხ. პ. ლოლაძე, რომელსაც მოყავს ევროპის სახელმწიფოებში და საქართველოში მეფუტკრეობის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური ცნობები; ეხება მეფუტკრეობაში გაჩენილ გადამდებ სენს, მიუთითებს მისი განრიდება-აცილების გამონახულ და უებრად მიღებულ საშუალებებზე აძლევს ყრილობას სახელმძღვანელო მუხლებს, მიღებულს საერთო წესდების საფუძველზე.

ზემო-იმერეთის მეფუტკრეობის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ს. ელენტი, ერთ-ერთი წევრი ინიციატორთა ჯგუფისა და ახასიათებს, რომ ზემო-იმერეთში მეფუტკრეობის მიმდევრობაში პირველი ადგილი შორაპნის მაზრას უჭირავს, განსაკუთრებით ხარაგოულის უბანს, სადაც მუშაობს გამოცდილი მცოდნე მეფუტკრე მაისუროვი. მაისუროვი ჩვენი საზოგადოებას დაარსებამდე დამაკმაყოფილებელ ზომებს ღებულობდა მეფუტკრეობის დარგის განვითარებისათვის, რომ დღეს ასეთი ხელმძღვანელობა ცალკე მეფუტკრეთა მეურნეობის განვითარებისათვის მთლიანათ უნდა აიღოს ხელში ჩვენმა საზოგადოებამ „ფუტკარი და სკა" და მით გადალახოს ამ დარგის ყოველგვარი დეფექტები და ფართედ გაუღოს კარები ზემო-იმერეთში მეფუტკრეობის განვითარებას, რომელიც თავისი შემოსავლიანობის და სარგებლობის თვალსაზრისით დიდი ყურადღების და წინ წაწევის ღირსია.

ყრილობამ მიიღო დადგენილება გახსნას ქალ. ზესტაფონში მეფუტკრეთა სახელოსნო ქარხანა და დაარსოს ბიურო, აგრეთვე შორაპნის მაზრის ყველა უბნებში ამ საზოგადოების განყოფილებები სადაც ეს მდგომარეობის და ბუნებრივი პირობებით მოსახერხებელია.

დასასრულ ყრილობამ მთელი რიგი მოხსენებათა მოსმენის, დადგენილებათა და რეზოლიუციების შემდეგ, მიიღო საერთო ხასიათის რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მთელი რიგი მოხსენებებისა მეფუტკრეობის მდგომარეობის შესახებ, ყრილობა მოხსენებებს ღებულობს სახელმძღვანელოთ და იმედს გამოსთქვამს ზემო-იმერეთის მეფუტკრეთა საზოგადოების, „ფუტკარი და სკა"-ს გონივრული მზრუნველობით აიცდინოს მეფუტკრეობაში ყველა დეფექტები და მით დაუმტკიცოს ყველა მეფუტკრეთ და კერძო პირთ გონივრული მეფუტკრეობის მიმდევრობის აუცილებლობა".

ყრილობის დასასრულს საღამოს მეფუტკრეთა საზოგადოების სასარგებლოთ გამართულ იქმნა სალამო, რამაც დამსწრე საზოგადოებაში კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ვუსურვებთ ახლად დაარსებულ საზოგადოება „ფუტკარი და სკა"-ს ნაყოფიერ მუშაობას.

იმედი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 101.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი მეურვეობის შესახებ.

(დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 139)

თავი IV.

ზრუნვა მეურვეობაში მყოფის პიროვნებისათვის; მისი ქონების გამგეობა და სამეურვეო ორგანოების პასუხისმგებლობა.

39. მეურვეობაში მყოფის პირადი და ქონებრივი ინტერესის დაცვა დაეკისრება მეურვეობის განმხორციელებელ მეურვეს, რომელიც ითვლება მის წარმომადგენლად სასამართლოს წინაშე და სასამართლოს გარეშე.

40. არა სრულწლოვანის მეურვე ზრუნავს მეურვეობაში მყოფის პიროვნებისათვის, მისი აღზრდისათვის და იმისათვის, რომ იგი მომზადებულ იქნეს სასარგებლო მოღვაწეობისათვის.

41. მეურვე მოვალეა შეძლებისადაგვარად თავისთან იყოლიოს არა სრულწლოვანი მეურვეობაში მყოფი და, თუ ამას მოითხოვს უკანასკნელის ინტერესები, უფლება აქვს მოსთხოვოს მისი დაბრუნება ყველას, ვინც თავისთან ამყოფებს და მეურვეობას უწევს არა-სრულწლოვანს არა კანონის ან სასამართლოს დადგენილების საფუძველზე.

42. არა სრულწლოვანის აღსაზრდელად და სასწავლებლად მიბარება და აგრეთვე ამის შეუსრულებლობის მიზეზი მეურვემ უნდა აცნობოს სათანადო დაწესებულებას, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

43. 14 წლის ჰასაკ შესრულებულ მეურვეობაში მყოფი პირის თანხმობით, მისი პირადი დაქირავებისათვის ხელშეკრულების დასადებად, მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო სამეურვეო დაწესებულებისა.

44. სულით ავადმყოფის მეურვე მოვალეა დაიცვას იგი და ხელი შეუწყოს მას ყველა პირად და ქონებრივ საქმეში და იზრუნოს მისი ჯანმრთელობისათვის.

45. უკეთუ საჭიროა, რომ სულით-ავადმყოფი მოთავსებულ იქნეს სათანადო სამკურნალო დაწესებულებაში, მეურვემ ეს უნდა განუცხადოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომელიც დანიშნავს მკურნალთა კომისიას. ეს კომისია გადასწყვეტს საკითხს სულით-ავადმყოფის სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსების საჭიროების შესახებ.

46. მეურვე უნდა განაგებდეს მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას ისე, როგორც მზრუნველი და მშრომელი პატრონი.

47. მეურვეს, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელს, უფლება აქვს დასდოს ყველა ის გარიგება, რომლის დადებაც შეეძლებოდა თვით მეურვეობაში მყოფს, რომ იგი ქმედობა-უნარიანი ყოფილიყო, იმ შემთხვევის გარდა, რაც აღნიშნულია 48—53 მუხლში.

48. მეურვეს არ შეუძლიან მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელი იყოს, უკეთუ გარიგებაა დასადები, ან აღძრულია საჩივარი ერთის მხრით მის მეუღლისა ან მისი ერთ-ერთი აღმავალი ან შთამავალი შტოის ნათესავსა და მეორეს მხრით მეურვეობაში მყოფის შორის. სპეციალურად ამისათვის უნდა დაინიშნოს საგანგებო მეურვე-წარმომადგენელი.

49. მეურვეს არ შეუძლიან გამოვიდეს ხელშეკრულების დამდებ მხარედ, ისეთ ხელშეკრულებაში, რომელიც მის მეურვეობაში მყოფი პირის ქონებას შეეხება, და აგრეთვე შეიძინოს რაიმე მოთხოვნის უფლება მეურვეობაში მყოფის წინააღმდეგ.

50. იმ ვალის გადახდისათვის, რაც მეურვეობაში მყოფისაგან ერგება თვით მეურვეს მისი მეურვედ დანიშვნამდე დადებული ხელშეკრულებით, საჭიროა ნებართვა სათანადო დაწესებულებისა, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

51. მეურვეს არ შეუძლიან მოახდინოს განსაჩუქრება, როგორც მეურვეობაში მყოფის წარმომადგენელმა.

52. მეურვე ვალდებულია ყოველ წელიწადს არა უგვიანეს იანვრის 15-ს წარუდგინოს ხოლმე სამეურვეო დაწესებულებას წერილობითი ანგარიში მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებას იღებდა იგი მეურვეობაში მყოფი პიროვნების მზრუნველობისათვის.

53. მეურვეს არ შეუძლიან იკისროს პირგაუტეხლობის ჯარიმის გადახდა მეურვეობაში მყოფ პირის სახელით.

54. მეურვეობაში მყოფი პირის შენობის ან სააღნაგო უფლების გასხვისებისა ან რაიმე ვალდებულებით დატვირთვისათვის მეურვემ უნდა გამოითხოვოს ნებართვა სათანადო დაწესებულებისაგან, რომელიც განაგებს მეურვეობის საქმეს.

55. მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გამგებლობისათვის სამეურვეო დაწესებულება დაუნიშნავს მეურვეს გასამრჯელოს, რისთვისაც მხედველობაში უნდა მიიღოს.

ა) მეურვეობაში მყოფი პირის ქონების წმინდა შემოსავალი,

ბ) ის, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ქონებრივად თვით მეურვე,

და გ) რა შრომას ეწევა მეურვე სამეურვეო ქონების გამგებლობისათვის.

56. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვეობაში ყოფილს უფლება აქვს მოსთხოვოს მეურვეს ანაზღაურება ყველა იმ ზიანისა და ზარალისა, რაც მიყენებულია მეურვის არა კეთილ-სინდისიერი და დაუდევარი გამგებლობით.

57. მეურვეობის გაუქმების შემდეგ მეურვე წარადგენს საერთო ანგარიშს.

58. მეურვის ყოველი მოქმედება ქონების გამგებლობისა და მეურვეობაში მყოფი პიროვნებისათვის ზრუნვის საქმეში—შეიძლება ყოველ დროს იქნეს გასაჩივრებული სათანადო სამეურვეო დაწესებულებაში, როგორც თვით მეურვეობაში მყოფი პირისა, ისე მესამე დაინტერესებული პირისაგან.

59. სამაზრო განყოფილების დადგენილება მეურვის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის გამო, უკეთუ ეს დადგენილება არა სრულწლოვანს შეეხება, შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატში.

60. საჩივარი სამაზრო განყოფილების მოქმედებისა და დადგენილებაზე უნდა შეტანილ იქნეს განათლების სახალხო კომისარიატში, რომელმაც უნდა განიხილოს იგი არა უგვიანეს ორი კვირისა მისი შეტანის დღიდან.

61. უკეთუ სახალხო კომისარიატის მიერ გასაჩივრებული დადგენილება ძალაში იქნება დატოვებული, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს დავა აღნიშნული დადგენილების გამო აღძრას სარჩელის საზოგადო წესით.

62. ამა თავში აღნიშნული წესები სათანადოთ შეფარდებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევისათვისაც, როდესაც მეურვეობა დანიშნულია რაიმე სხვა საფუძველზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

1923 წ. ივნისი 16.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 22.

ა.|კ. შრომის სახ. კომისარიატის საქართ. რწმუნებულის სამმართველოსი.

19 ივნისი, 1923 წ.

თანახმად ა.|კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა.|წ. 14 ივნისის დადგენილებისა, ა.|კ. შრომის სახალხო კომისარიატის საქ. რწმუნ. სამმართველო ადგენს.

1. დაწესდეს ივნისში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფო და სახელმწიფოდან რესურსების მიმღებ ყველა წარმოება-დაწესებულებებში შრომის ხელფასის მაქსიმუმი სამასი მილიონი (300,000,000) მანეთის რაოდენობით ა.|კ. ფულის ნიშნებში.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მაქსიმუმის შრომის ხელფასში შედის შრომის ჯილდოს ყველა სახეები, მათ რიცხვში ჯამაგირი, ზედმეტ-მუშაობის, შეთავსების, საკონსულტაციო ჯილდო და სხვ.

შენიშვნა: მაქსიმუმის ანგარიშში არ შედის მხოლოდ ჯილდო ცალკე ლიტერატურული, მეცნიერული, გამოგონების, არტისტიული და მხატვრული შრომისა და აგრეთვე ტანტიემა

3. შუამდგომლობანი ცალკე უმაღლეს კვალიფიციურ სპეციალისტთათვის მაქსიმუმზე ზევით ჯილდოს დაწესების შესახებ ა.|კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა.|წ. 7 ივნისის დადგენილების თანახმად, უნდა გაიგზავნოს ა.|კ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ „პასუხისმგებელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ხელფასის დამწესებელ კომისიაში, რომელიც უკანასკნელს თავის დასკვნითურთ აგზავნის ა.|კ. სახალხო კომისართა საბჭოში.

ა.|კ. შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ა. იაშვილი.

საერთო-საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ხუთშაბათს, 21 ივნისს საერთო საქალაქო დელეგატთა კრების შემდეგ, დელეგატ ქალებისათვის კომუნალურ მუშაკთა კავშირის მუშათა დასის ძალების საშუალებით მოწყობილი იქნება წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება.

1. პროლეტარი ქალი—რუსულ ენაზე.
2. კონცერტი—რუსულსა და ქართულ ენებზე.

დელეგატთა კრებაზე და წარმოდგენაზე მოწვეული არიან ყველა მსურველი მუშა-ქალები.

შენობა—ბალი „სტელლა"—პროფკავშირთა საბჭოს საზაფხულო კლუბი, სოლოლაკში.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფ. გამგე დალნაია.

პროფესიონალური.

„განათლების მუშაკთა სახლში"

— ხუთშაბათს, 21 ივნისს, საღამოს 5 საათზე შესდგება სიმღერისა და მუსიკის ქვესექციის მორიგი კრება.

დღის წეს-რიგში სდგას ბავშვთა შემოქმედებისა და სიმღერის სწავლების მშობლიურ ენასთან დაკავშირების შესაძლებლობის საკითხების გაგრძელება.

სახლის გამგე შიუკაშვილი-კალიუჟნაია.

განცხადებები

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის
სახალხო მამულების განყოფილება ამით აცხადებს, რომ
ა. წ. 25 ივნისის
შუადღის 12 საათზე, განყოფილების ბინაზე (ევანგულოვის ქუჩა № 2) კომისარის ნებართვით დანიშნულია ზეპირი
საჯარო ვაჭრობა
ამა წლის
ხილის და ყურძნის მოსავლისა
შემდეგი სახალხო მამულებისა: სკრის, მერეთის, ბეთანია-აკურისის, სადახლოს (ხოჯორნი) ქართლი (მუხრანი) და გიაურ-არხის (ყურძენი).
განმეორებითი ვაჭრობა მოხდება 2 ივლისს.
ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანონ განყოფილების სახელზე წერილობითი განცხადება სადერბო გადასახადის გადახდით და ბეთ 5 ჩერვონეცი, ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად.
პირობების შეტყობა შეიძლება განყოფილებაში ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.
კრ. 456 3—2

განათლების სახალხო კომისარიატის მთავარ პროფგანათლების მუშათა ფაკულტეტების სექტორის გამგებლობაში მყოფი
ი. ფ. პალატნიკოვის
ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
(15—15) კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. სად.
კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 788 25—10

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ·არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც [illegible]
ექიმობას საჭიროებენ
[illegible] სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვა-
ნელობით ტფილისი, ყირილანოვის ქ. № 20 (501—25—5)

ქ. ტფილისის მე-4 უბნის სახ. მოსამართლე
(მუხრანის ქ. № 4) იწვევს ამის გამოქვეყნების დღიდან ორი თვის განმავლობაში უგზო უკვლოდ დაკარგულ არშაკ თათეოსის ძე კურეგიანცს როგორც მოპასუხეს მისი ცოლის ანაიდა არტემას ასული კურეგიანცის საჩივრის გამო მასთან განქორწინების შესახებ.
(კრ. 850 1—1) სახალხო მოსამართლე ხუნდაძე.

დაკარგე შრომის ბირჟის წიგნაკი არშელუი კანეციანის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (849—1—1)

დაკარგე პასპორტი ნიკოლოზ კიტუანის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (848—1—1)

დაკარგე პასპორტი, გაცემული ტფილისის მილიციის უფროსის მიერ იოსებ გეზერაშვილის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (851 1—1)

დაკარგე შრომის ბირჟის და კავშირის საწევრო წიგნაკი ერვანდ აირაპეტოვის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. (852—1—1)

ამიერ-კავკასიისა და თურქესტანის
სათბობი მასალის სამმართველოს რწმუნებული
საქართველოში
ამით აუწყებს სათბობი მასალისა და საპოხი მასალების ყველა მომხმარებლებს
რომ აქტიურ თვიურ გეგმაში შეტანა სხვა და სხვა სათბობ და საპოხ მასალებზე სრულდება წინა თვის 25 რიცხვში და გეგმა შესასრულებლად გადაეცემა ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობი მასალის განყოფილებას.
ყველა დაწესებულებები და წარმოებანი, რომლებიც ამ რიცხვისათვის არ შემოიტანენ საჭირო განცხადებას, გეგმაში შეტანილი არ იქნებიან.
ამიტომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ხშირად მეორდებიან, ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს, რომლებიც საჭიროებენ სათბობ და საპოხ მასალას, წინადადება ეძლევათ თითეული თვის 20—25 რიცხვებს შუა გამოცხადდენ ამიერ-კავკასიის და თურქესტანის სათბობი მასალის საქართველოში რწმუნებულის კანცელარიაში (თბილისი, პუშკინის ქ. № 3) შემდეგი თვის გეგმაში შესატანად და მოსალოდნელ გაუგებრობის გამოსარკვევად.
25 რიცხვის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება და იმ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომლებიც გეგმაში არ შევიდენ სათბობი მასალა მიეცემა მეორე რიგში.
ამიერ-კავკასიის და თურქესტანის სათბობი მასალის სამმართველოს რწმუნებული
468 1—1 საქართველოში და ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. სათბ. მასალის განყ. გამგე: ბორკოსი

„ზარია ვოსტოკა-ს" სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა № 4.